ᲛᲔᲝᲥᲜᲔ ᲬᲚᲘᲬᲐᲓᲘ

პროლეტარიელო ყველა ქვეყნისა, შეერთდითო!

კომუნისტი

საქართ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური ტ. თბილისის კომიტეტის და სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების ცენტრალური ორგანო

რედაქცია
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 24, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა, 10—11 ს.
ტელეფონები:)რედაქტორის 14—70)მდივნის 10—58
ექსპედიციის ტელეფ. 5—46, სტამბის ტელ. 13—80.

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი, 24; მეორე სართული, ტელეფონი № 10—49
ხელის მოწერის ფასი: მუშა-მოსამსახ. 90 კაპ., დანარჩენებისათვის—1 მ. და 20 კ. ხელისმოწერნი მიიღებენ ჟურნალ „დროშაში“ და „მეცნიერება და ტექნიკას“. განცხადებები: ნონპარელის სტრიკ.—40 კ., ტექსტში ორჯერ მეტი. სამგლოვიარო —10—15—20 მან. დოკუმენტების დაკარგვა—1 მ., განცხადებების მიღება 3 ს-დე.

ᲓᲦᲘᲣᲠᲘ

— ოსმალეთის მთავრობა მოუწყვლ[illegible] ... [illegible] დათმობაზე არ მიდის.
— სამხრეთ-ჩინეთის რკინიგზის [illegible] ... [illegible] გასხნილია.
— ᲙᲐᲠᲒᲘᲜᲨᲘ ᲒᲐᲘᲛᲐᲠᲗᲐ ᲥᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲠᲬᲛᲝᲢᲔᲚᲝ ᲓᲔᲛᲝᲜᲡᲢᲠᲐᲪᲘᲐ.
— ᲘᲜᲓᲝᲔᲗᲘᲡ ᲠᲙᲘᲜᲘᲒᲖᲔᲚᲔᲑᲘ ᲛᲝᲛᲘᲗᲮᲝᲕᲔᲜ ᲢᲝᲛᲡᲙᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲔᲑᲐᲡ.
— ᲐᲛᲮ. ᲠᲐᲙᲝᲕᲡᲙᲘ ᲒᲐᲛᲔᲒᲖᲐᲕᲠᲐ ᲞᲐᲠᲘᲖᲨᲘ.

ᲮᲣᲗᲨᲐᲑᲐᲗᲘ, 3 თებერვალი 1926 წ. — ᲧᲝᲕᲔᲚᲓᲦᲘᲣᲠᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ — ფასი 5 კაპ. № 26 (1481)

„ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ“-Ს
ᲮᲠᲔᲛᲘᲐ წლიურ ხელისმომწერლებს
ᲮᲨᲐᲚ ᲓᲐᲣᲠᲘᲒᲓᲔᲑᲐ
ᲩᲕᲔᲜᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲬᲚᲘᲣᲠ ᲮᲔᲚᲘᲡᲛᲝᲛᲬᲔᲠᲚᲔᲑᲡ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲐᲛᲐᲪ ᲬᲘᲜᲓᲐᲬᲘᲜ ᲨᲔᲛᲝᲛᲢᲐᲜᲔᲑᲓᲐ ᲮᲣᲗᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲒᲚᲝᲑᲐᲨᲘ,
შეᲮᲘრებული ᲮᲠᲔᲛᲘᲐ
ᲔᲒ. ᲜᲘᲜᲝᲬᲕᲘᲚᲘᲡ ᲗᲘᲖᲣᲚᲔᲑᲐᲗᲐ ᲛᲔ-2 ᲢᲝᲛᲘ.

„ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ“
ᲒᲠᲫᲔᲚᲓᲔᲑᲐ ᲮᲔᲚᲘᲡᲛᲝᲬᲔᲠᲐ
ᲗᲔᲑᲔᲠᲕᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ᲐᲛᲮ. ᲠᲐᲙᲝᲕᲡᲙᲘ ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲗᲐᲜ ᲛᲝᲚᲐ�პᲐᲠᲐᲙᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

„ᲝᲠᲘᲕᲔ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐ ᲓᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲔᲑᲣᲚᲘᲐ, ᲠᲝᲛ ᲛᲝᲚᲐᲪᲐᲠᲐᲙᲔᲑᲐ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲓᲔᲡ“

„ᲒᲐᲜᲘᲐᲠᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲐᲖᲔ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲝᲑᲐᲡ ᲛᲘᲘᲚᲔᲑᲡ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲗᲐᲜᲐᲑᲐᲨᲠᲣᲚᲔᲑᲘᲐᲜᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ.“

ᲐᲛᲮ. ᲠᲐᲙᲝᲕᲡᲙᲘ ᲒᲐᲔᲛᲒᲖᲐᲕᲠᲐ ᲞᲐᲠᲘᲖᲨᲘ.—ᲞᲠᲝᲤ. ᲩᲚᲔᲜᲝᲕᲘ—ᲡᲐᲒᲭᲝᲗᲐ ᲓᲔᲚᲔᲒᲐᲪᲘᲘᲡ ᲛᲓᲘᲕᲐᲜᲘ

ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲐᲨᲘ, ᲤᲝᲠᲓᲘᲡ ᲥᲐᲠᲮᲜᲔᲑᲨᲘ ᲢᲠᲐᲥᲢᲝᲠᲔᲑᲘᲡ ᲓᲐ ᲐᲕᲢᲝᲛᲝᲑᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲐᲕᲘᲔᲜᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲐᲗ 100 ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲘ ᲘᲒᲖᲐᲕᲜᲔᲑᲐ

ᲕᲝᲠᲓᲛᲐ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲗᲐᲕᲖᲔ ᲐᲘᲦᲝ ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲜᲐᲮᲕᲐ ᲔᲠᲗᲘ ᲬᲚᲘᲗ

მოსკოვი, 2 თებ. საფრანგეთის დეპეშათა საგენტოს „პეგასი“-ს კორესპონდენტთან საუბრის დროს რაკოვსკიმ განაცხადა:

ᲓᲔᲚᲔᲒᲐᲪᲘᲘᲡ ᲨᲔᲛᲐᲯᲐᲛᲔᲑᲚᲝᲑᲐ

— საბჭოთა დელეგაცია, რომელმაც შოლაპარაკება უნდა აწარმოოს საფრანგეთთან, გამოემგზავრება ამ კვირის ბოლოს ამ დელეგაციის შემადგენლობა მოწმობს იმას, თუ რა დიდ და სერიოზულ ინიშვნელობას აძლევს ჩვენი მთავრობა ამ მოლაპარაკებას. ჩვენს დელეგაციაში, გარეშე საბჭოთა სახალხო კომისარიატის და შრომის და თავდაცვის საბჭოს გარდა, წარმოდგენილი არიან აგრეთვე სხვა მნიშვნელოვანი კომისარიატები: ფინანსახკომი, სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო, ვაჭრობის სახალხო კომისარიატი და სახელმწიფო ბანკი.

მოლაპარაკება დაიწყება როგორც კი დელეგაცია ჩამოვა პარიზში.

გარდა დელეგაციისა, მთავრობა ნიშნავს აგრეთვე სპეციალურ კომისიას, რომელმაც მოლაპარაკება უნდა აწარმოოს ფრანგ მრეწველებთან. ზემოდ აღნიშნულ კომისარიატების და დაწესებულებების წარმომადგენლებს გარდა, ამ კომისიის შემადგენლობაში შევლენ აგრეთვე მაწამოქმედების და გზათა სახალხო კომისარიატების და კოოპერაციის წარმომადგენლები. კომისია პარიზში შემდეგ ჩამოვა, როცა ეს საჭირო იქნება მოლაპარაკების მსვლელობის გამო.

დელეგაციასთან ერთად ჩამოვა ექსპერტების და ტექნიკურ თანამშრომლების პატარა ჯგუფი, სულ დელეგაციასთან ერთად არა უმეტეს 20 კაცისა.

რაც შეეხება სპეციალურ ფუნქციებს, რომელთაც შეასრულებენ დელეგაციის სხვადასხვა წევრები, ეს გამოირკვევა მას შემდეგ, როცა ჩვენ საფრანგეთის დელეგაციასთან ერთად „შევიმუშავებთ მუშაობის გეგმას.

ᲨᲔᲗᲐᲜᲮᲛᲔᲑᲐ ᲡᲣᲠᲡ ᲝᲠᲘᲕᲔ ᲛᲮᲐᲠᲡ.

კითხვა: თქვენი პარიზში ყოფნის განმავლობაში, კერძოდ 3-ნ ჩიჩერინის დარბაზობის დროს, —ეკითხება კორესპონდენტი რაკოვსკის,—გვონდათ თუ არა გარკვეული საუბარი ფრანგ მოდვაწეებთან მოლაპარაკების შესახებ?

პასუხი: მე შემიძლია ესოქვა,— უპასუხებს რაკოვსკი,—რომ საუბრების მეტი ნაწილი პარიზში როგორც ჩიჩერინის ჩამოსვლამდე, ისე შემდეგ, პირდაპირ და არა პირდაპირ შეეხებოდა მომავალ მოლაპარაკებას, თუმცა ამ საუბრების დროს ჩვენ როგორც ერთი, ისე მეორე მხრით, ვეხებოდით მხოლოდ საერთო ხაზს და გაურკვეველ კონკრეტიულ წინადადებებს. ამგვარი გადაწყვეტილებანი შედეგად უნდა მოჰყვეს ოფიციალურად უფლებამოსილ დელეგაციების მოლაპარაკებას, ამ საუბრების მსვლელობის დროს გამოირკვა, რომ როგორც ჩვენ, ისე საფრანგეთის მხრივ არის სურვილი გამოიძებნოს გზა ორივე სახელმწიფოს შორის არსებულ სადავო საკითხების მოსაგვარებლად.

ᲕᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲘ.

კითხვა: შეგიძლიათ თუ არა დააასახელოთ თქვენი მთავარი წინადადებების არსებითი მომენტები. ფიქრობთ თუ არა თქვენ, რომ ეს ვალების საკითხი ცენრალური საკითხს წარმოადგენს? რას მოელით თქვენ მოლაპარაკებიდან არა ეკონომიური და ფინანსიური ხასიათის საკითხების შესახებ?

პასუხი: ჩვენი წინადადებანი მხოლოდ მოლაპარაკების მსვლელობაში გამოირკვევა. ჯერ კიდევ კრასნინამ ჩამოაყალიბა გარკვეული კონკრეტული წინადადებანი, მაგრამ ჩვენ ჯერ კიდევ არ ვიცით, რომელი მუხლებია მიუღებელი საფრანგეთის მთავრობისათვის და რატომ. ეს მხოლოდ მოლაპარაკების პროცესში გამოირკვევა. რაც შეეხება ვალების საკითხს, თქვენც იცით, რომ ის გადაჭრილია ჩვენი დეკრეტით და მას ვუბრუნდებით იმდენად, რამდენადაც ამ საკითხს თვით საფრანგეთის მთავრობა აყენებს. მომავალი მოლაპარაკების პასხის უნდა წარმოადგენდეს არა რომელიმე საღარო საკითხი, როგორიც არის საერთაშორისო ინტერესები. რომელთა მნიშვნელობას თანაბრად გრძნობს ორივე მხარე.

ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘ-ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲡᲐᲔᲠᲗᲝ ᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲘᲗᲘ

კითხვა: არის თუ არა ასეთი საერთო ინტერესები საფრანგეთსა და საბჭოთა კავშირს შორის?

პასუხი: მე ეფიქრობ, რომ ასეთი ინტერესები არის და მათ ძალიან დიდი მნიშვნელობაც აქვთ, ეს ინტერესები დროთა განმავლობაში კიდევ უფრო გაიზრდება. პირველ ყოვლისა ეს საერთო ინტერესები შეეხება ეკონომიურ ურთიერთობას. ომის შემდეგ საფრანგეთი მსხვილ სამრეწველო ქვეყნად იქცა, რის გამო სასოფლო-სამეურნეო და ნახევრად სამრეწველო ნედლეულის საკითხს მისთვის ეხლაც დიდი მნიშვნელობა ეძლევა და მომავალში კიდევ უფრო მეტი მნიშვნელობა ექნება. საფრანგეთის მრეწველობა პირდაპირ დაინტერესებულია ნედლეულის სიიაფით, ეს კი შესაძლებელია მხოლოდ სასოფლო მეურნეობის განვითარებით საბჭოთა კავშირში.

ის აზრი, რომ ევროპას და, კერძოთ, საფრანგეთს კი არ ესაჭიროება საბჭოთა კავშირი, არამედ უკანასკნელს ესაჭიროება ევროპა, ყოვლად ფაუძლოა. სხვათა შორის ასეთ აზრადულებას არ იზიარებს არც საფრანგეთის სპეციალური ეკონომიური ლიტერატურა, რომლის ზერეულად გაცნობაც ნათელყოფს იმ ტენდენციებს, რომ საბჭოთა კავშირის და ნედლეულის შეძენის გარეშე ევროპა და საფრანგეთი ვერ დაადგენენ თავს ფახების დიქტატურას, რომელსაც ოკეანეს იქით ქვეყნებმა, მაგ. შორის ამერიკამ, დაუწესა ევროპისათვის.

აბის კიდევ საქმის ერთი მხარე— ესაა თქვენი დაინტერესება ჩვენი ნრეწველობის განვითარებით.

მხოლოდ ინდუსტრიულათ განვითარებული საბჭოთა კავშირი შესძლებს რაციონალურ ნიადაგზე დაიდგოს მიწადმოქმედება და გაიაიაოს ნედლეულის და ხახეარ ფაბრიკატების თვითღირებულება. მეორე მხრით—ჩვენი მრეწველობის განვითარებისას აუცილებელი იქნება ახალი მანქანების შეძენა ახალ-ახალ ნების მოსაწყობად და ძველი ქარხნების გადასაკეთებლათ, ეს კი საფრანგეთის ლითონის, მანქანების საალმშენებლო, ელექტრო-საალმშენებლო და სხვა მრეწველობას მისცემს უფლებას ბაზარს, რომლის მოთხოვნილებაც თანდათან გაძლიერდება.

ამას, რასაც მე ველაპარაკებით, უშუალო მნიშვნელობა აქვს მომავალი მოლაპარაკებისათვის. გრძელ ვადიანი კრედიტები შეეხებიან ჩვენ მოვითხოვთ, წარმოადგენს მასალას ეალეების საკითხის გადასაჭრელად; ეს არის გარიგება, რომელიც სასარგებლოა როგორც ჩვენი ინტერესებისათვის, ისე საფრანგეთის მრეწველობისა და საერთოდ სავაჭრო ურთიერთობის განვითარებისათვის საფრანგეთსა და საბჭოთა კავშირს შორის.

თქვენ მეკითხებით, რას მოველით ჩვენ მოლაპარაკებიდან არა ეკონომიურ და ფინანსიურ ხასიათის საკითხებზე. ამ საკითხების გადაჭრიდან მე მოველი მრავალ ცსეთ მიზეზების აღმოფხვრას, რომელიც უთანხმობას იწვევს საფრანგეთსა და საბჭოთა კავშირს შორის და, მაშასადამე, საყოველთაო მშვიდობიანობის განმტკიცებას.

ᲓᲐᲛᲝᲙᲘᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ ᲡᲮᲕᲐ ᲡᲐᲮᲔᲚᲛ�წᲘᲤᲝᲔᲑᲗᲐᲜ.

კითხვა: როგორია საბჭოთა კავშირის საერთაშორისო პოლიტიკა? გრძელდება თუ არა დაწყებული დაახლოება პოლონეთსა და საბჭოთა კავშირს შორის საბჭოთა კავშირი დასავლეთ ევროპის ეხლანდელ ტერიტორიალურ სტატუსქვოს? როგორი მნიშვნელობა აქვს საბჭოთა კავშირის და ოსმალეთის ხელშეკრულებას? როგორ გაქვთ წარმოდგენილი საბჭოთა კავშირის მონაწილეობა განიარაღების კონფერენციაზე, სადაც მონაწილეობას იღებს ამერიკა, რომელსაც არ უცვნია საბჭოთა კავშირი?

პასუხი: მე ვერ ვხედავ არავითარ მიზეზს, რომელიც შეაფერხებდა პოლონეთ-საბჭოთა კავშირს შორის დაწყებულ დაახლოებას, რომელიც ნაკარნახეია არა გარდამავალ, არამედ უფრო ღრმა მიზეზებით, რომელნიც უნდა ვეძიოთ ორივე ქვეყნის გეოგრაფიულ და საერთო პოლიტიკურ მდგომარეობაში. პოლონეთს ამას უკარნახებს მისი მეურნეობის და, განსაკუთრებით, მრეწველობის მთელი ისტორიული წარსული.

ჩვენს დამოკიდებულებას საერთოდ დასავლეთ-ევროპის ტერიტორიალურ სტატუსისადმი განსაზღვრავს ჩვენს მიერ დადებული საერთაშორისო ხელშეკრულებები, ხოლო სადაც ხელშეკრულება არ ზოგიპოება, ჩვენი პოლიტიკის ხელმძღვანელ მომენტს თვითგამორკვევის პრინციპი წარმოადგენს.

ამის შემდეგ თქვენ მიხვდებით, თუ რამდენათ უაზრო საფრანგეთის პრესის საქციელი, რომელმაც ამას წინად ფორმით და შინაარსით ყოველად შეუმოწმებელ ცნობაში მომაბრიცხვინ ეამბრთლებდე ძალადობის აქტს, რომელიც გერმანიის მილიტარიზმმა ჩაიდინა 1877 წელს ელზასისა და ლოტარინგიის მიმართ და რომლის წინაალმდეგ მაშინაც და შემდეგშიაც პროტესტს აცხადებდა მთელი მუშათა საერთაშორისო მოძაობა. ნალხი თვითვე უნდა სწყვეტდეს თავის ბედს, ეს კი არ უნდა იყოს დამოკიდებული ამა თუ იმ ომის დასასრულზე.

რაც შეეხება საბჭოთა კავშირის და ოსმალეთის ხელშეკრულებას, მასში არ უნდა ვეძიოთ სხვა აზრი, გარდა იმისა, რომელიც ნათლად გამომდინარეობს მისი ტექსტიდან. ჩვენ მზად ვართ დავსდოთ ასეთი ხელშეკრულებები იმ სახელმწიფოებთან, რომელთაც სურთ დაგვიმტკიცონ აგრესიულობის უქონლობა და ამავე დროს გავფანტოთ ყოველგვარი ეჭვი, რომელიც შეიძლება წარმოიშვას ჩვენი პოლიტიკის შესახებ. ამას გარდა, საბჭოთა კავშირის და ოსმალეთის ხელშეკრულების დადება ყველაზე უკეთესად უარყოფს იმ ხმებს, რომელსაც პერიოდულად ავრცელებდენ განსაზღვრული მიზნით ერთ დღეს იმის შესახებ, რომ თითქოს საბჭოთა კავშირსა და იტალიას შორის არსებობს საიდუმლო ხელშეკრულება ოსმალეთის წინააღმდეგ, ხოლო მეორე დღეს იმის შესახებ, თითქოს საბჭოთა კავშირსა და ოსმალეთს შორის არსებობდეს საიდუმლო ხელშეკრულება იტალიის, საფრანგეთის, ინგლისის და სხვა სახელმწიფოს წინააღმდეგ.

ᲡᲐᲑᲭ. ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘ ᲓᲐ ᲒᲐᲜᲘᲐᲠᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲐ.

მე, რასაკვირველია, საბჭოთა კავშირის მონაწილეობა განიარაღების კონფერენციაზე წარმოდგენილი მაქვს ყველა დანარჩენ სახელმწიფოებთან სრული თანასწორობის ნიადაგზე. იმ გარემოებას, რომ ამერიკა მონაწილეობას მიიღებს განიარაღების კონფერენციაზე, შეუძლია მხოლოდ ხელი შეუწყოს ნორმალური ურთიერთობის დამყარებას „სერიკეს რესპუბლიკასა“ და საბჭოთა კავშირს შორის.

ᲠᲐᲙᲝᲕᲡᲙᲘᲡ ᲒᲐᲛᲒᲖᲐᲕᲠᲔᲑᲐ

მოსკოვი, 2 თებ. 1 თებერვალს საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენელი საფრანგეთში, საფრანგეთთან მოლაპარაკების მიზნით შედგენილი დელეგაციის თავმჯდომარე რაკოვსკი გაემგზავრა პარიზში.

ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲝᲠ ᲩᲚᲔᲜᲝᲕᲘᲡ ᲓᲐᲜᲘᲨᲕᲜᲐ

მოსკოვი. 2 თებ. საფრანგეთთან მოლაპარაკების მიზნით პარიზში წარგზავნილ დელეგაციის გენერალურ მდივნათ დანიშნა პროფესორი ჩლენოვი.

ᲩᲠᲓᲘᲚᲝᲔᲗᲘᲡ ᲠᲙ. ᲒᲖᲘᲡ ᲒᲐᲠᲨᲔᲛᲝ

ᲐᲛᲮ. ᲠᲐᲓᲔᲙᲘᲡ ᲬᲔᲠᲘᲚᲘ

ᲩᲘᲜᲔᲗᲘᲡ ᲡᲐᲖᲦᲕᲐᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲕᲘᲗ

საბჭოთა სტუდენტები „ფორდის“ კარზე

მოსკოვი, 2 თებერვ. „ამტორგ“-ი შეუთანხმდა „ფორდს“ ფირმის ამ შეთანხმების ძალით „ფორდის“ ქარხნებში ერთი წლის ვადით გაიგზავნება 100 სტუდენტი როგორც ტრაქტორების, ისე ავტომობილების აწყობის ტექნიკის შესასწავლელ. ფორდი ინახავს სტუდენტებს ამერიკაში მათი ყოფნის დროს.

ეს შეთანხმება „ფორდთან“ ფირიდ მნიშვნელოვანთა ჩვენთვის, რადგან საბჭოთა კავშირში შემოაქვთ ემთავრესად ფორძონის ტრაქტორები.

ავსტრიის მუშათა დელეგაცია

ვინსკი, 2 თებერვალი. 31 იანვარს ავსტრიის მუშათა დელეგაციამ ინახულა ვინსკის დაწესებულებები და წარმოებანი. დელეგატები დაწვრილებით გაეცნენ წითელარმიელთა ყოფა-ცხოვრებას და მუშაობის პირობებს წარმოებებში. ისინი ხანგრძლივად ესაუბრენ მუშებს ხელოვნისა შესახებ. დელეგატებმა აღნიშნეს, **რომ უმუშევართა დახმარება ავსტრიაში ოთხჯერ ნაკლებია, ვიდრე აქ.**

საბჭოთა მოსამსახურეების კავშირის კლუბში გაიმართა მუშების კრება, რომელიც მოიწვია ბელორუსის პროფკავშირთა ცენტრალურმა საბჭომ. ავსტრიის მუშათა დელეგატებმა ქმუხარე ოვაციებით შეხვდენ. მისა სალმებელი სიტყვა წარმოსთქვეს კომპარტიის, პროფკავშირების, მთავრობის, ქალაქის საბჭოს წარმომადგენლებმა და სხვადასხვა მუშებმა.

საპასუხო სიტყვა წარმოსთქვა ავსტრიის მუშათა დელეგაციის თავმჯდომარემ **ფორკალმა** (სოციალ-დემოკრატმა). მას ზმირათ აწყვეტინებდენ სიტყვას მქუხარე ტაშით.

„რაც უფრო იზრდება ერთიანი ფრონტის მომხრეთა რიცხვი ჩვენი სოციალ-დემოკრატიულ პარტიის რიგებში, ამბობს ის, მით უფრო იზრდება თქვენი მოსმენების რიცხვიც. ჩვენი პარტიის მრავალი მუშა თქვენი მეგობრებია ეს კიდევ უფრო შეგად გვამაგრებს ჩვენს პროლეტარიატის მთლიანობისათვის ბრძოლაში“.

ავსტრიის მუშათა დელეგაციის წევრმა, სამთომადნო მუშამ, **გონნერმა** სთქვა:

„ჩვენში ამბობენ, რომ რუსეთში არ არის სოციალიზმი, არამედ არის დიქტატურა პროლეტარიატზე. **დღეს ჩვენ დავრწმუნდით, სრულიად წინააღმდეგში და მზად ვართ უთხრათ ჩვენს სოციალ დემოკრატ ბელადებს: „თუ ის, რაც ჩვენ იქ ვნახეთ—არის დიქტატურა პროლეტარიატზე, მაშინ შემოიღეთ ჩვენში ასეთივე დიქტატურა“.**

ავსტრიის დელეგაციის წევრმა მელტონე **მარკოვმა** (სოციალ-დემოკრატმა) განაცხადა:

„ჩვენ ჯერ კიდევ ბელორუსიაში ვართ, მაგრამ უკვე დავრწმუნდით, რომ 95 პროც. იმისა, რასაც ბურჟუაზიული გაზეთები სწერენ, აშკარა სიყალბეს წარმოადგენს“.

მანჯურიაში

პროფკავშირები გახსნილია.

ხარბინი, 1 თებერვ. ხარბინში პროფკავშირები უკვე გახსნილია. იხსნა და ისევ ეკეთა პროფკავშირების განყოფილებები მთელ ხაზზე. დაპატიმრებულნი თითქმის ყველანი განთავისუფლებული არიან.

გრძელდება მოლაპარაკება ჩინეთის ხელისუფლებასთან შეთანხმების ცალკე მუხლების შესახებ და ადგილზე ზარალის ანაზღაურების და დამნაშავეთა პასუხისგებაში მიცემის შესახებ.

ადგილკომგები ისევ დახურულია.

ხარბინი, 1 თებერვ. აღმოსავლეთ ჩინეთის რკინის გზის ხაზზე ჯერ არ გახსნილა არც ერთი ადგილკომი. [illegible] ამის შესახებ.

ქალების დემონსტრაცია.

ხარბინი, 1 თებერვ. 30 იანვარს ხარბინში გაიმართა ქალთა დემონსტრაცია, რომელმაც პროტესტი გაანაცხადა მშრომელი ახალგაზრდობის მასიურ უკანონო დაპატიმრებების გამო და დაპატიმრებულთადმი არა ადამიანურ მოპყრობის წინააღმდეგ. პოლიციის მთავარ ხამმართველს მოუახლოდა 500-მდე ქალი, რომელთაც მოითხოვეს დაპატიმრებულთა განთავისუფლება. გაძლიერებული რაზმების მიუხედავად, პოლიციის მთავარ ხამმართველს შენობაში 200-მა ქალმა შეახლო შესვლა. ხამმართველს უფროსთან თანამშრომელ შუბპირდა დემონსტრანტ ქალებს, რომ დაპატიმრებულებს გაანთავისუფლებენ. დემონსტრაციას ჯარამა ალყა შემოარტყა. დემონსტრაციის დროს პროლეტარიატი [illegible] როდენიც ძალნენ მხოლოდ დემონსტრაციის **დამთავრების შემდეგ.**

გერმანია და ოსმალეთი

ბერლინი, 1 თებ. ოსმალეთის ელჩმა ბერლინში ქეშალ-ედდინ-სამიმ გერმანია-ოსმალეთის სავაჭრო პალატის საერთო კრებაზე ფრანკფურტში წარმოსთქვა სიტყვა ოსმალეთის და გერმანიის ეკონომიურ დაახლოების შესახებ. ქეშალ-ედდინის სიტყვით, დასალეთ-ევროპას სახელმწიფოებიდან, რომლებიც სცდილობენ თავიანთი ინტერესებისათვის გამოიყენონ ვაჭრობა ოსმალეთთან, გერმანიამ გამოიჩინა ყველაზე მეტი უანგარობა. პოლიტიკური პირობები ევროპაში აიძულებს ოსმალეთს ეძებოს თანამშრომლობა გერმანიასთან თავისი ეკონომიური ძალიერების განსავითარებლათ. ყოველ ეშკს გარეშეა წ�ხალხდგომა ინგლისის და აზიის იმ სახელმწიფოებს შორის, რომლებიც ილტვიან თავიანთ საწარმოო ძალების დამოუკიდებელ განვითარებისაკენ.

ოსმალეთი დათმოგაზე არ მიდის

ლონდონი, 1 თებ. „დეილი ტელეგრაფის“ დიპლომატიური კორესპონდენტი, ეხება რა ინგლისის ელჩის ანკარაში გამგზავრებას ანგორაში, სწერს, რომ ოსმალოებს „ოდნავთოდაც არ შეუცვლიათ თავისი პრეტენზიები, მათ არ სურთ ომი, მაგრამ არ სურთ დათმობებზე წასვლაც. ოსმალეთი მოელიან დათმობას ინგლისელების მხრით“.

ედო ფიმენის წერილი

ბერლინი, 1 თებ. ჰოლანდიის სოციალ-დემოკრატიის ორგანო „ფოლკ“-ში დაბეჭდილია ედო ფიმენის წერილი, რომელშიაც ის უპასუხებს იმ პირებს, რომელნიც უსაყვედურებენ მას „კომინტერნის ჩვენებით“ მუშაობას.

ყველაფერი ის რასაც მე ვავდიგარ ან ვსწერ მუშათა მოძრაობის მოლიანობის სასარგებლოთ, აცხადებს ფიმენი, ნაკარნახევია პირადი რწმენით. მე მოხარული ვარ, რომ ჩემს მოხედულებას იზიარებენ ყველა ქვეყნების მრავალი ათასი მუშა და პროფკავშირთა თანამდებობის პირნი, მათ შორის საბჭოთა კავშირის მუშებიც.

პროლეტარული და გურჟუაზიული არმია

რომი, 1 თებ. დეპუტატთა პალატაში არმიის ორგანიზაციის შეცვლის საკითხის გარშემო გამართულ კენჭოთის დროს სიტყვა წარმოსთქვა კომუნისტმა—დეპუტატმა **მოლინელლიმ,** რომელმაც განაცხადა:

„კომუნისტები არჩევენ პროლეტარულ სახელმწიფოს არმიის ბურჟუაზიულ სახელმწიფო არმიისაგან. პირველ შემთხვევაში კომუნისტები უნდა სცდილობდენ არმიის განმტკიცებას, რადგან იგი წარმოადგენს პროლეტარიატის უშუალო ინტერესების დაცვის იარაღს; მეორე შემთხვევაში კომუნისტები მთელი ძალღონით უნდა იბრძოდენ არმიის გაძლიერების წინააღმდეგ, რადგან იგი მოახმარებენ ბურჟუაზიის გაძლიერებას“.

ფაშისტურ უმრავლესობის ხმაურობამ სიტყვა შეაწყვეტინა მოლინელლის. როდესაც სიწყნარე ჩამოვარდა მოლინელლმა მიმართა ფაშისტებს შემდეგი სიტყვებით:

„თქვენ ადიდებთ ხარჯთაღრიცხვას 400 მილიონ ლირამდე. თქვენ ხელში ჩაგიდეთ ყველა სამხედრო დარგები. ეს იმას ნიშნავს, რომ თქვენ ახდენთ არმიის ფაშიზიცას და ემზადებით ომისათვის“.

ფვეიცარიამ იგრძნო გოიკოტის ფიდეგები

ბერლინი, 1 თებერვ. ფვეიცარიის მთავრობა სდუმს და სერიოზულ გაპარვებას განიცდის სამეურნეო წრეების ერთი-მეორეს საწინააღმდეგო მოთხოვნილებათა ზეგავლენით. განსაკუთრებით, მძიმე ჩთაბეჭდილება მოახდინა ინგლისის დამოუკიდებელ მუშათა პარტიის რეზოლიუციამ, რომელიც მოითხოვს, **რომ ერთა ლიგამ განიარაღებას კონფერენცია მოიწვიოს ფვეიცარიის საზღვრებს გარეშე,** რომ დამოუკიდებელ მუშათა პარტიის ორგანიზაციებმა განუმარტონ პარტიის ყველა წევრებს ასეთი პოლიტიკის აუცილებლობა და რომ საერთაშორიო მუშათა მოძრაობამ გაიეწა მოახდინოს ამ ნარიე ერთა ლიგაზე.

ᲐᲥᲪᲘᲐᲜᲘᲡ

ბერლინი, 1 თებერვ. დასავლეთ ფვეიცარიის გაზეთები, რომელნიც გამოდიან ფრანგულ ენაზე, ენერგიულ კამპანიას აწარმოებენ საბჭოთა კავშირის მიერ „ფვეიცარიის დაბეტონების“ პოლიტიკის წინააღმდეგ. პრესა პასუხისმგებლობას აკისრებს ერთა ლიგას, **რომელიც,** თითქოს, ხელს უწყობს ასეთ პოლიტიკას.

ამის საწინააღმდეგო გაზეთი „ეუერნალ დე ჟენევ“ აცხადებს, რომ ერთა ლიგას არაეითარი გავლენა არ მოუხდენია და საფრანგეთი ამ შემთხვევაში მხოლოდ და მხოლოდ თავისი სახელით მოქმედებდა.

მუშათა საერთაშორისო მოძრაობა

ინგლისი

კამპანია ტომასის წინააღმდეგ

ლონდონი, 1 თებერვ. მანჩესტერში გაიმართა **რაინისგზელთა მსხვილ** [illegible]

მიტინგზე მიღებულ იქნა რეზოლიუცია, რომელიც წინადადებას იძლევა, რათა რაინისგზელთა კავშირის აღმასკომმა მოითხოვოს ტომასის გადაყენება, ვინაიდან უკანასკნელი არ არის მუშათა კლასის იდეის და მისწრაფებების გამომხატველი.

გარდა ამისა მიღებულ იქნა რეზოლიუცია, რომელიც ეწინააღმდეგება სამედიატორო კომერის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას რაინისგზელთა სამუშაო ხელფასის შესახებ. ამ გადაწყვეტილებით ნაგულისხმევია სამუშაო ხელფასის შემცირება ალად მიღებულ მუშებისათვის და დამქირავებელთათვის ხელსაბალი ტარიფიკაციის, ე. ი. მუშების დაბალ განაკვეთებზე გადაყვანის, უფლების მინიჭება.

ერთ ერთი ორატორი, ეხება რა [illegible] ბოლშევიკ [illegible] ეშმის კენჭს, აცხადებს, **რომ რაინისგზელთა კავშირისათვის საჭიროა ისეთი ბელადები, როგორიცაა კეტი და არა ტომასი.**

რაინისგზელთა კონფერენცია

ლონდონი, 1 თებერვ. 31 იანვარს ლონდონში გაიმართა **რაინისგზელთა კავშირის** საოლქო საბჭოების კონფერენცია, რომელსაც დაესწრენ დელეგატები, **რომელნიც** წარმოადგენდენ კავშირის ყველა წევრებს. კონფერენციამ მიიღო რეზოლიუცია, **რომელშიაც** მწუხარებას გამოსთქვამს **კავშირის** სპეციალური კონფერენციის მიერ სამედიატორო კომერის **ბოლშევიკ** [illegible] **ბოლშევიკ** [illegible] **ᲐᲤᲠᲘᲙᲐ**

ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲐ ᲓᲐ ᲐᲤᲠᲘᲙᲐ

ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲐ ᲓᲐ ᲐᲤᲠᲘᲙᲐ

ᲣᲪᲮᲝᲣᲚᲘ ᲓᲘᲓᲘᲚᲝᲛᲐᲢᲘᲡ ᲜᲐᲛᲔᲑᲝᲜᲘ

(ᲯᲐᲠᲣᲡ. ᲐᲕᲐᲚᲘᲐᲜᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲨᲘ ᲒᲐᲒᲠᲔᲑᲐ)

[illegible]

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲨᲘ

ᲠᲣᲡᲔᲗᲘ

ᲡᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘ ᲡᲐᲮ. ᲛᲔᲣᲠᲔ. ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲗᲐᲜᲗᲒᲘᲠᲘᲡ ᲛᲝᲬᲕᲔᲕᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ

მოსკოვი, 2 თებერ. საბჭოთა კავშირის სახ. მეურნ. უმაღლეს საბჭოს პრეზიდიუმმა აღძრა საკავშირო სახ. კომისართა საბჭოს წინაშე შუამდგომლობა, რომ მიმდინარე წლის 24 თებერვალს მოწვეულ იქნეს კავშირის სახ. მეურნეობის უმაღლეს საბჭოს პრეზიდიუმის გაფართოებული თათბირი საკავშირო რესპუბლიკების სახ. მეურნ. უმაღლეს საბჭოთა პრეზიდიუმების, სახალხო მეურნეობის საგუბერნო სახ.საბჭოთა და სახალხო მეურნეობის საოლქო საბჭოების და აგრეთვე საგუბერნიო აღმასკომის ადგილობრივ მეურნეობის განყოფილებათა მონაწილეობით.

ᲡᲐᲐᲦᲛᲬᲘᲤᲔᲑᲚᲝ ᲓᲐᲠᲒᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲙᲘᲗᲐ ᲡᲠᲣᲚᲘᲐᲓ ᲡᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲝ ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲐ

მ ოსკოვი, 2 თებერ. 1 თებერვალს საღამშენებლო დარგის მუშაკთა სრულიად საკავშირო ყრილობაზე მოსმენილ იქნა მოხსენებები სატარიფო-ეკონომიურ მუშაობის და საღამშენებლო დარგის მუშათა შრომის დაცვის შესახებ.

ᲩᲣᲒᲐᲨᲘᲡ ᲡᲐᲐᲦᲛᲬᲘᲤᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲛᲤᲣᲫᲜᲔᲑᲔᲚᲘ ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲐ

ჩებოკსარი, 2 თებერ. ჩუვაშის საბჭოების დამფუძნებელმა ყრილობამ მიიღო ჩუვაშის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუცია და აირჩია ჩუვაშის ცაკი 65 კაცის შემადგენლობით.

ᲡᲢᲐᲢᲘᲡᲢᲘᲙᲝᲡᲗᲐᲗᲕᲘᲡ ᲡᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲝ ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲐ

მოსკოვი, 2 თებერ. 1 თებერვალს გაიმართა სტატისტიკოსებს სრულიად საკავშირო მეოთხე ყრილობის საზეიმო გახსნა. ყრილობაზე ჩამოვიდა 416 დელეგატი გადამწყვეტი ხმით და 188 სათათბირო ხმით ყრილობის საბატიო თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა რიკოვი.

სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარე სმირნოვმ მისალმებაში საგეგმო კომისიის სახელით აღნიშნა, რომ სახელმწიფოს სამრეწველო-სამეურნეო მდგომარეობის პირობების და გართულების გამო, ეკონომიური პრობლემები უაღრესად დაწვრილებით შესწავლას და დამუშავებას მოითხოვენ. ამ მუშაობაში უდიდესი როლი ეკუთვნის ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს. ეს მუშაობა სტატისტიკურ ორგანოებმა უნდა აწარმოონ ფართოდ მოფიერებელ და თავისუფალ სამეცნიერო გამოკვლევებზე [illegible] შაობა სახელმწიფო საგეგმო ორგანოების მუშაობას უნდა შეუფარდონ.

რიკოვი, რომლის გამოსვლის ყრილობა ხანგრძლივი ტაშით და მხურვალე ოვაციებით ხვდება, თავის მისასალმებელ სიტყვაში ლაპაიკოს მომავალი აღწერის უდიდეს მნიშვნელობაზე საბჭოთა სახელმწიფოს შემდგომი აღმშენებლობისათვის. რიკოვმა თავისი სიტყვა დაამთავრა მხურვალე მოწოდებით სტატისტიკოსებისა და საბჭოთა საზოგადოებრიობის ყველა მუშაკებისადმი ყოველ მხრივ ხელი შეუწყონ აღწერის წარმატებით ჩატარებას და მისი კონკრეტული შედეგების საჩქაროდ გამოქვეყნებას.

შემდეგ ყრილობამ მოისმინა ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს უფროსის მოადგილის კრასილნიკოვის მოხსენება მომავალი აღწერის ამოცანებისა, პროგრამისა და საორგანიზაციო გეგმის შესახებ.

ᲛᲔᲜᲐᲚᲛᲔᲤᲐ ᲨᲝᲠᲔᲣᲚ ᲐᲦᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘᲡ ᲛᲔᲣᲠᲔᲝᲚᲔᲒᲘᲜᲘᲡᲐᲓᲛᲘ

ხაბაროვსკი, 2 თებერ. ადგილობრივმა პრესამ აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინ სგზელთა კავშირის და პროფესიონალურ კავშირების საბჭოსაგან მიიღო დეპეშა, რომელშიაც რკინის გზის მუშა-მოსამსახურეები ესალმებიან მოსულ აღმოსავლეთის მშრომელებს და მადლობას უცხადებენ მათ ძმური დახმარებისათვის ბრძოლის მძიმე მომენტში.

ᲛᲔᲓᲐᲒᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲚᲘᲡᲐᲚᲘᲡ ᲓᲐᲛᲐ

მოსკოვი, 2 თებერ. რესპუბლიკის პროკურატურამ სრულიად რუსეთის ცაკის პრეზიდიუმში შეიტანა განცხადება, რომელშიაც იგი მოითხოვს საკანონმდებლო გზით გაგრძელებული იქნეს მემამულეების გამოსახლების ვადა.

განიხილა რა ეს საკითხი, ცაკის პრეზიდიუმმა, ნება დართო საგუბერნიო აღმასკომებს შეაჩერონ მემამულეების გამოსახლება 1926 წლის 1 მაისამდე. ეს დადგენილება უნდა იქნას დამტკიცებული საბჭოთა კავშირის ცაკის პრეზიდიუმის მიერ.

ᲙᲣᲑᲐᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲪᲐᲙᲘᲡ ᲒᲐᲛᲒᲔᲑᲚᲝᲑᲐᲨᲘ

მოსკოვი, 2 თებერ. სრულიად რუსეთის ცაკის პრეზიდიუმმა, მოისმინა რა პოკროვსკის მოხსენება კომუნისტური აკადემიის მუშობის შესახებ, დაადგინა, რომ მას საწინააღმდეგო არაფერი აქვს, რათა აკადემია გადავიდეს საბჭოთა კავშირის ცაკის გამგებლობაში.

ᲙᲣᲠᲡᲔᲑᲘ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡ ᲙᲕᲐᲚᲘᲤᲘᲙᲐᲪᲘᲘᲡ ᲐᲡᲐᲬᲧᲝᲕᲐᲓ

სტალინო, 2 თებერ. ვინაიდან ლენინგრადის მრეწველობაში შეწარნეულია კვალიფიციური მუშების დიდი ნაკლებობა, სტალინის და მაკეევის კომშინატებთან მოეწყო მოკლე-ვადიანი კურსები მუშათა კვალიფიკაციის ასაწევად. ამ კურსებზე გატარებული იქნება 3000-ზე მეტი მუშა-მკლეთონე.

ᲔᲡᲢᲝᲜᲗᲘᲡ ᲯᲐᲨᲣᲨᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲔ

ლენინგრადი, 2 თებერ. უზენაეს სასამართლოში **ამხ. ულრიხის** თავმჯდომარეობით **დაიწყო ესტონეთის ჯაშუშების საქმის** გარჩევა. ზოგიერთი ბრალდებულნი ესმაცხადენ, **რომ** ისინი **ემიგრანტები** არიან, 3 განაცხადა, **რომ** ისინი არიან ესტონეთის ტყეშეკრულნი, ხოლო ერთმა [illegible] **მათ** გამოაცხადა.

წაკითხული იქნა საბრალმდებლო აქტი.

ᲧᲘᲠᲘᲛᲘ

ᲡᲐᲐᲕᲢᲝᲛᲝᲑᲘᲚᲝ ᲙᲐᲢᲐᲡᲢᲠᲝᲤᲐ

სევასტოპოლი, 2 თებერ. ბალაკლავასკენ მოგზაურობის დროს დაიმსხვრა აეტომობილი. სასიკვდილოთ დაიჭრა „ცუსტრახ“-ის რწმუნებული კურდიუმეო.

ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲐ

ᲮᲐᲠᲙᲝᲕᲘ, 2 თებერ. გრიგალს, **რომელმაც** გადაიარა უკრაინაზე და ხარკოვზე, მოჰყვა ცივი ზამთარი. უკანასკნელ ხანებში თბილი მზიანი დღეებია და თოვლი დნება უკრაინის მთელ ტერიტორიაზე.

მახლობელ ჰერიოდში უკრაინაში ძლიერი ყინვები მოსალოდნელი [illegible] არის. შემოდგომის ნათესების მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია.

ᲥᲐᲠᲘᲨᲐᲚᲘ

ოდესა, 2 თებერ. შავი ზღვის ნაპირებზე **და** აზოვის ზღვაში ძლიერი ქარი შაალი მძვინვარებს. მარიუპოლში ქარმა ზღვაში ჩაპყარა მეთევზეთა ზხუნები.

ᲓᲐᲫᲘᲠᲣᲚᲘ ᲒᲔᲛᲘᲡ ᲐᲛᲝᲦᲔᲑᲐ

ოდესა, 2 თებერ. ამ ცოტა ხანში ოდესის ნავთსადგურში დაიწყება მუშაობა ძაძ რული საოკეანო გემის „პატაგონიის“ ამოსაღებად.

ᲡᲐᲞᲠᲝᲢᲔᲡᲢᲝ ᲛᲘᲢᲘᲜᲒᲘ

ხარკოვი, 2 თებერ. 31 იანვარს აქ გაიმართა მრავალრიცხოვანი საპროტესტო მიტინგი. მიტინგი მოაწყო ბესარაბიელთა საზოგადოების ხარკოვის გახყოფილებამ რუმინელებს ს მიერ ბესარაბიის ძალით შეერთების 8 წლის თავის აღსანიშნავად.

ᲞᲔᲜᲚᲘᲕᲘᲡ ᲑᲐᲒᲘᲜᲡᲙᲘᲡ ᲓᲐ ᲕᲘᲩᲘᲠᲙᲔᲕᲘᲩᲘᲡ ᲝᲠᲯᲐᲮᲔᲑᲘ

მოსკოვი, 2 თებერ. საკავშირო სასალხო კომისართა საბჭომ დაადგინა ვერაგულად მოკლულ პოლონელ რევოლუციონერების ბაგინსკის ბავშვებს დაენიშნოს პენსია 200 მანეთი თვეში და ვეჩორკევიჩის ბავშვებს—150 მანეთი თვეში, სანამ ისინი სრულ ჰასაკოვანი გახდებოდენ.

ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲣᲚᲘ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘ

მოსკოვი, 2 თებერ. საკავშირო კოოპერაციშორთა ცენტრალურ საბჭოს [illegible] ᲡᲐᲐᲦᲛᲬᲘᲤᲔᲑᲚᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡ ᲙᲕᲐᲚᲘᲤᲘᲙᲐᲪᲘᲘᲡ ᲐᲡᲐᲬᲧᲝᲕᲐᲓ

სტალინო, 2 თებერ. ვინაიდან ლენინგრადის მრეწველობაში შეწარნეულია კვალიფიციური მუშების დიდი ნაკლებობა, სტალინის და მაკეევის კომშინატებთან მოეწყო მოკლე-ვადიანი კურსები მუშათა კვალიფიკაციის ასაწევად. ამ კურსებზე გატარებული იქნება 3000-ზე მეტი მუშა-მკლეთონე.

ᲔᲡᲢᲝᲜᲗᲘᲡ ᲯᲐᲨᲣᲨᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲔ

ლენინგრადი, 2 თებერ. უზენაეს სასამართლოში **ამხ. ულრიხის** თავმჯდომარეობით **დაიწყო ესტონეთის ჯაშუშების** საქმის **გარჩევა.** ზოგიერთი ბრალდებულნი ესმაცხადენ, **რომ** ისინი **ემიგრანტები** არიან, 3 განაცხადა, **რომ** ისინი არიან ესტონეთის ტყეშეკრულნი, ხოლო ერთმა [illegible] **მათ** გამოაცხადა.

წაკითხული იქნა საბრალმდებლო აქტი.

ᲧᲘᲠᲘᲛᲘ

ᲡᲐᲐᲕᲢᲝᲛᲝᲑᲘᲚᲝ ᲙᲐᲢᲐᲡᲢᲠᲝᲤᲐ

სევასტოპოლი, 2 თებერ. ბალაკლავასკენ მოგზაურობის დროს დაიმსხვრა აეტომობილი. სასიკვდილოთ დაიჭრა „ცუსტრახ“-ის რწმუნებული კურდიუმეო.

ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲐ

ᲮᲐᲠᲙᲝᲕᲘ, 2 თებერ. გრიგალს, **რომელმაც** გადაიარა უკრაინაზე და ხარკოვზე, მოჰყვა ცივი ზამთარი. უკანასკნელ ხანებში თბილი მზიანი დღეებია და თოვლი დნება უკრაინის მთელ ტერიტორიაზე.

[illegible]

ᲙᲕᲐᲜᲐᲡᲙᲕᲔᲚᲘ ᲪᲜᲝᲑᲔᲑᲘ

ᲛᲣᲨᲐᲗᲐ ᲙᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲛᲔᲛᲐᲠᲯᲕᲔᲜᲔ ᲤᲠᲗᲘᲡ ᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲐ

ლონდონი, 1 თებერ. ლონდონში შეხვდა ინგლისის მუშათა პარტიის მემარჯვენე ფრთის კონფერენციაა.

ვოგანმა, **რომელიც** თავმჯდომარეობდა კონფერენციას, განაცხადა, **რომ** ამ კონფერენციას ლიეერტულის მუშათა კონფერენციის შემდეგ დიდი მნიშვნელობა აქვს. მემარჯვენე ფრთას არ უნდა ასალი პარტიის შექმნა, **რადგან** ის წინააღმდეგია სეპარატიული ორგანიზაციებისო.

კუკმა განაცხადა კონფერენციაზე, **რომ მემარჯვენე ფრთის წარმომადგენლები—რეალური პოლიტიკოსები** არიან, **რომელნიც** ხურთ **სოციალისტური თეორიის განხორციელება.**

მუშები ბრძოლა არ უნდა გაყვენ ბელადებს. თავის აზრის დასამტკიცებლათ კუკმა მოიყვანა მაკდონალდის მაგალითი.

კონფერენციამ გამოიტანა რეზოლიუცია ინგლისის მთავრობის იმპერიალისტური პოლიტიკის წინააღმდეგ და პროგრამული ხასიათის [illegible] **ᲛᲣᲨᲐᲗᲐ ᲞᲠᲝᲤᲡᲝᲣᲜᲘᲝᲜᲘᲡ ᲒᲐᲜᲘᲐᲠᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ**

ᲞᲐᲠᲘᲖᲘ, 1 თებ. „ეუმანიტე“ გადმოგვცემს, **რომ** ხაზრეის რაიონში 4 დღის ბრძოლის დროს სენეგალელთა ბატალიონმა, **რომელიც** იცავდა რაბაინის სიმაგრეებს, **უარი** სთქვა ბრძოლაზე. დაფუძნებული გაგზავნილი იქნა მეორე ბატალიონი, **რომელმაც** გადაყარა იარაღი და დაუძმობილდა სირიელებს.

ᲗᲔᲛᲐᲚᲒᲐᲡᲐᲚᲘᲡᲘᲡ ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲘᲡ ᲓᲐᲭᲠᲐ

ᲙᲣᲗᲐᲘᲡᲘ, 2 თებ. მუხიანში დასჭრეს თემის აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. კინწურაშვილი. ბოროტმომქმედი ალ. ᲙᲣᲗᲐᲜᲘᲫᲔ გაიქცა. კინწურაშვილი მოთავსებულია საავადმყოფოში.

„ᲒᲐᲜᲘᲐᲠᲐᲚᲔᲑᲘᲡ“ ᲒᲐᲓᲐᲓᲔᲑᲐ

ᲞᲐᲠᲘᲖᲘ, 1 თებ. საფრანგეთმა, იტალიამ, იაპონიამ, ჩეხო-სლოვაკიამ და ურუგვაიმ მიმართეს ერთა ლიგას ინდადებით გადაიდგას განიარაღების წინასწარი კონფერენცია 15 აპრილიდან.

გაზ. „ტან“-ის აზრით ეს წინადადება ერთხმად იქნება მიღებული, რადგან შეუძლებელია კონფეიენცია მოწვევა საბჭოთა კავშირის და შეიერიკიის შორის კონფლიქტის მოგვარებამდი და გერმანიის ერთა ლიგაში შესულამდი.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲔ

ᲕᲐᲠᲨᲐᲕᲐ, 1 თებ. რადიკალურ გლეხთა პარტიის ეგზეკუტიურმა საბჭომ გამოირიცხა პარტიიდან ძველი თავმჯდომარე ოკონი და მის ადგილად აირჩია ძიდუბი, **რომელიც** სეიმის სხვა დეპუტატებთან ერთად საბჭოთა კავშირში იყო.

ᲞᲘᲚᲣᲡᲣᲓᲩᲘᲡ ᲯᲐᲠᲘᲡ ᲓᲐᲑᲠᲣᲜᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

ᲕᲐᲠᲨᲐᲕᲐ, 1 თებ. ბეჭდი დაიბეჭდა, **რომ** მინისტრთა საბჭოს მბლო

ეკონომიური ცხოვრება

თბილისის ბირჟაში

ბაკოს ბაზრობის დამფუძნებელ კომიტეტი

თბილისის ბირჟო კომიტეტის პრეზიდიუმმა დაადგინა შექმნას ბირჟასთან ბაკოს მომავალი ბაზრობის ხელშეწყობის კომიტეტი. კომიტეტში შეიტანა შინა-ვაჭრობის სახ. კომისარიატის წარმომადგენელი.

კომიტეტის მიზანია ხელი შეუწყოს ბაკოს ბაზრობაში სავაჭრო ორგანიზაციების ფართოდ მონაწილეობის მიღებას.

ამ მიზნით აღნიშნული კომიტეტი შეუთანხმდება და დაიჭერს მჭიდროს კავშირს ბაკოს კომიტეტთან, რათა ყველა სავაჭრო ორგანიზაციებს მუდმივად მიაწოდონ ცნობები ბაზრობაში მონაწილეობის მიღების პირობების შესახებ.

საარბიტრაჟო კომისიის მდივნად

თბილისის ბირჟასთან არსებულ საარბიტრაჟო კომისიის მდივნად მოწვეულია დამცველთა კოლეგიის წევრი მ. ი. ტერიშვილი, რომელსაც ამასთანავე დაეკისრებული აქვს ბირჟის იურისკონსულტის მოვალეობა.

ხამფინანსების დამფუძნებელ სიაში

თბილისის საბირჟო კომიტეტის პრეზიდიუმმა თბილისის სამეურნეოს დამფუძნებელ კომისიის, რომელიც არჩეულ ბეგარის გადამხდელთა საჩივრებს, წევრებად — დინარ ნ: ჰ. ა. გოლუა, ვ. ნ. ოდილოკაძე და ა. ფ. ბუკუკანოვი. მათ კანდიდატებად კი ბროიდო და ქანანოვი.

რეზინის ტრესტი

რეზინის ტრესტის თბილისის განყოფილებამ, ამიერ-კავკასიის სახელმწიფო ვაჭრობის საპაიო ამხანაგობისაგან მიიღო დაკვლება მოიმარაგოს მომავალი სეზონისათვის 30 ათასი წყვილი კალოში—ოსმალეთში გასატანად, სადაც რეზინის ტრესტის ნაწარმოები დიდი გასაღები აქვთ.

ამ სეზონში იქ გაგზავნილი შედარებით მცირე ჰარტია კალოშებისა ოსმალეთის მოსახლეობამ სწრაფათ გასაღა. რაც შეეხება სპარსეთს, აქ მოთხოვნილება რეზინის ნაწარმოებზე არ არის დიდი, რის გამო მისი გატანა ჩრდილო-დასავლეთის სპარსეთის ბაზრებზე შეიძლება არ გაფართოვდეს წარსულ წელთან შედარებით.

ამიერ-კავკასიის შინაური მოთხოვნილება კალოშებზე წელს ტრესტის მიერ თითქმის სავსებით დაკმაყოფილებულია. არ არის დიდი ხანი, რაც მან მიიღო ამ ბაზრისათვის კალოშების დიდი პარტია დაახლოებით 20 ათასი წყვილი რაოდენობით, რომელიც ნაწილობრივ განაწილებულ იქნა ა.-კავკასიის კოოპერატიულ ორგანიზაციების შორის.

ჩვენი ქვეყნის ბუნებრივი სიმდიდრენი

ინფუზორიტის მადნე ბის დამუშავება

ყველაზე უკეთესი ღირსების ინფუზორიტი აღმოჩენილია ახალციხის მაზრაში. ინფუზორიტი იხმარება უმთავრესად საამშენებლო მასალის, დინამიტის და მინის დასამზადებლათ. ინფუზორიტს ხმარობენ აგრეთვე სხვა ქიმიურ წარმოებებში.

ინფუზორიტის მადნები უხვათ მოიპოვებთა ბორჯომიდან 30 ვერსის დაშორებით პატარა მდინარის ღარების ნაპირად, სადაც ინფუზორიტის მადნის რაოდენობა 175 მილიონ ფუთს აღწევს. აქედან ნიადაგის ზვეთ მოიპოვება მხოლოდ 10 მილიონი ფუთი. დანარჩენების მოსაპოვებლად საჭიროა მაღაროების გათხრა.

საბჭოთა კავშირის წარმოების თანდათან გაძლიერება მოითხოვს დიდ ძალ ინფუზორიტს, რომელიც ამ ჟამად შემოიტანეთ უცხოეთიდან. ინფუზორიტის მადნები იშოვება საბჟოთა კავშირის სხვა ადგილებში, მაგრამ ღირსებით იგი ჩამოუვარდება ახალციხისს. ყოველ წლიურად საბჭოთა კავშირის მრეწველობისათვის საჭიროა 180 ათასი ფუთი, რომლის ღირებულება 170 ათას მანეთს უდრის.

სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს მოუვიდა აგრეთვე უცხოეთის ერთ-ერთ ფირმიდან განცხადება იმის შესახებ, რომ იგი კისრულობს უცხოეთის ხარჯზე ინფუზორიტის გასაღებას.

ს. ს. ფ. უ. ს. პრეზიდიუმმა დაადგინა გადასცეს ახალციხის ინფუზორიტის მადნები იჯარით სამთო ქიმიურ კომბინატს საქმესაოლატაციოდ.

ამ ჟამად სამთ. ქიმიური კომბინატი შეუუდგა ადგილზე წინასწარ მოსამზადებელ მეშაობას; ამოღებულ-ექსპლოატაციის კი კომბინატი შეიდგება მომდინარე წლის ბოისდან.

გაეგის მრეწველობა

ბამბის მიუხედავათ, თუ რამდენათ აზრდება ბამბით დათესილი არე და ბატულობს ნედლი ბამბის მოსავალი, იმდენათ საჭირო და აუცილებელი ხდება ბამბის საწმენდი ქარხნების რიცხვის გადიდებაც.

ომამდე არსებული ბამბამბა ქარხნები იმდენათ მოეწყობელნი არიან, რომ შეკეთების შემდეგაც კი სანა ბეგროდ ვერ აკმაყოფილებენ ბოთბოვნილებას, ამიტომ მებამბეობის ადგილობრივი ორგანიზაციები იძულებული გ ხდენ შესდგომოდენ მეშაობას ქარხნების ასაშენებლად და საფუძვლიანად შესაკეთებლად.

საამშენებელო მეშაობა ამიერ-კავკასიაში დაიწყო 1923—24 წლიდან, მაგრამ განსაკუთრებით ფართო ხასიათი მიიღო 1924—25 წელში, როცა შეიქნა მებამბეობის ერთიანი ბოლიანი ცენტრი.

გასულ სამეურნეო წელს ნედლი ბამბის გასაწმენდათ ამუშავებულ იქნა 4 ქარხანა, ხოლო ომის წინა წელს კი მეშაობდა მხოლოდ 12 ქარხანა, ქარხნების მეტი წილი ძველებული იქნა ახალი გაუმჯობესებული მანქანებით.

მომდინარე სამეურნეო წელს მეშაობისათვის გამზადებული იქნა 20 ქარხანა. ამ ორ დღეში ამუშავებული იქნება 4 ქარხანა.

ამგვარად ორი წლის განმავლობაში მომუშავე ქარხნების რიცხვი გასაკვირია. თითქმის ყველა ამუშავებული ქარხნები შეკეთებული იქნა საფუძვლიანად, ხოლო 7 ქარხანა (ბათუმში 3 საქართველოში) აგებული იქნა ახლად.

რესპუბლიკების მიხედვით ქარხნები ასე არის განაწილებული: აზერბეიჯანში—17, საქართველოში—3, სომხეთში—3, აფხაზეთში—1. ყველა ქარხნების საერთო ძალოვნება უდრის—1900 ცხენის ძალას.

ქარხნების აგება-მოწყობასთან ერთად აწარმოებდა დაინმარე შენობათა აგებაც: უკანასკნელ წლებში მოწყობილ იქნა შესასყიდი პუნქტები მეშა-მოსახსახურეებისათვის.

1925-26 წელს შენობათა, ქარხნებს აგებს და მოწყობაზე აზერბეიჯანში დახარჯა—3 მილიონ მანეთამდე, სომხეთში—1.0501.701 მანეთი და საქართველოში—351.150 მანეთი.

ტრანსპორტის მდგომარეობა

1925 წ. დეკემბერში

(ნაკ. ნაგეგმი კომისიის კონფუნქტურული მიმოხილვა)

რკინიგზებზე

საქართველოს რკინისგზების ხაზის ტვირთბრუნვა თითქმის ისეთია, როგორც იყო წინა თვეში.

ტვირთ-ბრუნვა (რონოდებში):

	დეკემბერი	ნოემბერი
დატვირთვა ხაზზე	11242	11426
გაგზავნილი მეზობ. რუსს.	4465	3726
მიღებულია მეზობ. რუსს.	4890	4415
სულ	20597	19567

საერთო ტვირთბრუნვის ზრდა მეზობელ რესპუბლიკებში გამოწვეულია საქონლის გაგზავნ-გამოგზავნით. 1924 წ. დეკემბერთან შედარებით ტვირთ-ბრუნვა გაიზარდა 64,3 %-ით. სალგზრიწო თვეში მატულობს 5.3 %-ით.

ადგილობრივ დატვირთვის შემცირება, ნოემბერთან შედარებით, გამოწვეულია ზაკი ქვისა და ქვანახშრის დატვირთვის შემცირებით (23,8% და 7,7%) ამავე დროს კი ყველა დანარჩენი საგნების დატვირთვა საგრძნობლად მატულობს მაგალითად:

დატვირთა დეკემბერში: პურეული 183 რონოდა, ხილი 202, ღვინო 478, ხე-ტყე 372, დან. საოგ. მას 735, ზაკი ქვა 3280, ქვანახშირი 531, შეშა 1593 რონოდა.

1924 წ. დეკემბერთან შედარებით, გარდა ხილისა, რომლის დატვირთვაც 33,7-ით არის შემცირებული ყველა აქ აღებული მთავარი საგნების გაგზავნა საგრძნობლად იზრდება, მაგ.: პურეული 408,3%-ით, ზაკი ქვა—76,5%-ით, ღვინო 73%-ით და სხვა.

პირველი ნახევრისათვის მეშაობაში მყოფი საღი ორომქმაღლების რიცხვი 225 უდრის. მეშა ფარეი 1924 ქვაბისაგან და 3030 სხვა რონოდისაგან შესდგება. წინა თვესთან შედარებით 37,2 და 1,5% არის გადიდებული მეშა რონოდების საერთო კარბენა დღე-ღამეში 267,8-ათ ვერსს უდრის ე. ი. 6,6%-ით არის გაზრდილი ნოემბერთან შედარებით.

ნავთსადგურები

ჩვენი შეიტანი ნავთსადგურების (ბათუმი, ფოთი და სოხუმი) ტვირთ-ბრუნვა, სექტემბერში აღნიშნული შემკირების შემდეგ, სისტემატიურად მატულობს მაგ.: ოქტ—16,4 %-ით, ნოემბერში—11.2%-ით და დეკემბერში—17,7%-ით. 1924 წ. დეკემბერთან შედარებით ნავთსადგურების ტვირთ-ბრუნვა გაზრდილ 103,8%-ით, ხოლო 1923 წ. დეკემბერთან შედარებით—143,3%-ით.

ტვირთ-ბრუნვა (ათას-ფუთებში) დეკემბერში იყო სულ 9.687,0 აქედან გაიგზავნა—8.875,0 მიღებულია—812,0.

ნოემბერთან შედარებით მიღება უფრო გაიზარდა (31,8%) ვიდრე გაგზავნა (16,5 %-ით), სანაპირო თვეში კბილტაუური ტვირთ-ბრუნვა უფრო ინტენსიურათ მატულობს (28,8%). ბატანის გაძლიერების გამო, ვიდრე საზღვარგარეთელი (16,5%). საღაც ფრიად მნიშვნელოვანი ზრდა გვაძლევს შემატანა (198,9%). ჩვენი ნავთსადგურების ტვირთ-ბრუნვის ისეთი ზრდა გამოწვეულია ბათუმიდან საგიფეულობის ექსპორტის გაძლიერებით, ფოთის ნავთსადგურიდან ზაკი ქვის ექსპორტის გადიდებით და სოხუმის ნავთსადგურიდან თამბაქოს ექსპორტის გამო სხვა საქონლის გაგზავნა—მიღების გაძლიერებასთან ერთად.

საშინაო ბაზები

რაც შეეხება საურმე გზების ტვირთბრუნვას (აღებულია ობიოლში და ბათუმში შემოტანილი ტვირთი). აქ ახალი შემცირება გვაქვს, რაც უფრო ვრცელად სეზონური პირობებით უნდა ახსნას.

ობიოლში შემოტანილია (ათას ფუთებში) 193,2 ბათუმში 16,7 სხვადასხვა საქონელი ნოემბერთან შედარებით ყველა საქონლის შემოტანა მცირედი გარდა ქვიმასა, კეკრეხასა, ნახშირისა, რომელთა შემოტანის მატება 67,4 და 7% უდრის.

ნავთსადგურების ტვირთ-ბრუნვის გაძლიერებასთან ერთად ჩვენ ეხეიდავთ საურმე გზების ტვირთ-ბრუნვის შემცირებას.

ავტო-ტრანსპორტი

ყოველწლიურად ამიერ-კავკასიაში წინ პიდის აღტო-ტრანსპორტის განვითარება. მაგალითად 1923—24 წელს უცხოეთიდან შემოტანილი იქნა 86 ბსუბუქი ავტომობილი და 37 ტვირთსაზიდი მანქანა.

1924—25 წელს კი შემოტანილი იქნა 154 მსუბუქი ავტომობილი, 98 ტვირთსაზიდი, 7 ავტობუსი და 30 ათასი მანეთის მოტოციკლეტი.

1925—26 სამეურნეო წლის პირველ კვარტალისათვის შემოტანილი იქნა დაახლოებითი 90-ზე მეტი ტვირთმზიდავი ავტომობილი, რომელის ღირებულება 244 ათასს უდრის, ამავე დროს მსუბუქი ავტომობილი შემოტანილ იქნა 17 ათასი მანეთის. მიუხედავათ ამისა, რომ ავტომობილების შემოტანა მატულობს, ბაზრის საჭიროებას მაინც ვერ აკმაყოფილებს.

მანქანებს შორის ამიერ-კავკასიაში ყველაზე მეტად გავრცელებულია იტალიური მარკა—ფიატი, ამერიკული—ფორდი და კადელიაკი.

საექსპორტო-საიმპორტო ბაზრის დახასიათება

1 თებერვალს დაიხსნა საექსპორტო საიმპორტო საქონლის ნიმუშების პირველი გამოფენა, როგორც მოაწყო ამიერ-კავკასიის აღმოსავლეთის სავაჭრო პალატამ გამოფენა ღია იყო 2 კვირის განმავლობაში ამ ხნის განმავლობაში გამოფენა ინახულეს სამეურნეო ორგანიზაციების და აგრეთვე სპარსეთის და ოსმალეთის ვაჭრ ბის წარმომადგენლებმა. გამოფენილ საქონლის ნიმუშებს დიდათ დაინტერესა ახლო აღმოსავლეთის ვაჭრები. ა | ა. აღმოსავლეთის სავაჭრო პალატის წარმომადგენლების სიტყვით, გამოფენამ საკუთარ ბაზრ ბ ... ...

სავაჭრო ურთიერთობა ოსმალეთთან

თბილისში ჩამოვიდა ოსმალეთის აღმოსავლეთ ვილაიეთების კომერციულ წრეების წარმომადგენელი ბ. ქემალ-ბეი, ოსმალეთის ფინანსთა მინისტრის ძმა. ქემალ-ბეის ჩამოსვლის მიზანია სამინდოს შესყიდვა ოსმალეთის აღმოსავლეთის ვილაიეთებისა და ჭანთავრესად ტრაპიზონის რაიონისათვის.

ამას გარდა ქემალ-ბეის ჩამოსვლასთან დაკავშირებით მოსალოდნელია ხელ შეკრულების დადება ნავთის პროდუქტების შესყიდვის შესახებ.

ქემალ-ბეი არის წარმომადგენელი ერთ ერთი უდიდესი ფირმის „ეროფნეზი-ზადეერ“, რომელსაც ჰყავს გემები, აქვს პური და თამბაქოს საწყობები ტრაპიზონში.

ქემალ-ბეიმ უკვე დაიწყო მოლაპარაკება ა | კ. სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველოსთან სამინდოს შესყიდვის შესახებ.

როგორც ჩვენს თანამშრომელს აცნობეს, ოსმალეთსთან ნავთობის კავშირის შორის სავაჭრო ხელშეკრულების დადების მოლოდინი ოსმალეთის კონკურეული წრეები დიდ ინტერესს იჩენენ ჩვენი პროდუქციისადმი. ამ უკანასკნელ დროს საეკონომიკო დამოკიდებულების გამოკვლევა ოსმალეთის ვილაიეთებისა ნების გაჯანსაღებ ... ...

...

...

##

პარტიული ცხოვრება

საშეფო მუშაოგისათვის

1 თებერვალს გაიხსნა თბილისის საშეფო საზოგადოების კონფერენცია, ამ კონფერენციას უსათუოდ დიდი მნიშვნელობა ეძლევა იმ მხრით, რომ აქ ადგილების მოხსენებებიდან და თვით თბილისის საშეფო ბიუროს მოხსენებებიდან გამოირკვა—რა გაკეთდა ამდენ ხანს და რა ნაკლულოვანებები სდევდა შეფების მუშაობას. ეს კი საშუალებას მოგვცემს საერთო ძალით ვძლიოთ საშეფო მუშაობის უარყოფითი მხარეები და მომავალში ეს მუშაობა უფრო სწორათ ვაწარმოოთ.

ჩვენი პარტიის ძირითადი ამოცანა—ქალაქის სოფელთან დაახლოება, მუშს გლეხთან დაკავშირება—დღესაც ისეთივე ყურადღებას მოითხოვს ჩვენგან, როგორც წინათ. ამ ლოზუნგის განხორციელების საქმეში შეფებს თვალსაჩინო წვლილის შეტანა შეუძლიათ, თუ, რასაკვირველია, მათი მუშაობა თავის დონეზე იქნება დაყენებული და ჩვენი პარტიის ხაზი ამ მუშაობაში დაცული იქნება.

როგორც მე-13 პარტიული ყრილობის რეზოლიუციია ამბობს, შეფებმა თავის მუშაობაში უმთავრესი ყურადღება უნდა მიაქციონ ერთის მხრით სოფლისათვის სამეურნეო-ორგანიზაციული დახმარების აღმოჩენას, და მეორეს მხრით კი პოლიტიკურგანმანათლებელი მუშაობის წარმოებას.

სამეურნეო-ორგანიზაციულ დახმარებას მართლაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ჩვენი სოფლისთვის. აქამდ ხელს ვუწყობთ სოფლის მეურნეობის აღდგენას და განვითარებას. სოფელს ვაწვდით გაუმჯობესებულ სასოფლო მეურნეობის იარაღებს, მანქანებს; ხელს ვუწყობთ მიწის გაუმჯობესებულათ დამუშავებას; ყველაფერი ეს გლეხზე დიდ გავლენას ახდენს—გლეხი ხედავს ჩვენს საქმიანობას, ამას ის იფასებს და ჩვენს გავლენას ემორჩილება. გლეხი პრაქტიკა და ყველაფერს პრაქტიკულათ უყურებს. ჩვენც ამდენად ვეგებავებს, რამდენათაც ვეხმარებით მას მისი მდგომარეობის გაუმჯობესებაში. სხვადასხვა არტელების დაარსებას, ამხანაგობების შექმნას, კოოპერატივების მოწყობას და სხ.—შეფებმა უსათუოდ მეტი ყურადღება უნდა მიაქციონ. ამდენ ხანს კი ამ მხრივ ნაკლები ყურადღება ექცეოდა.

ამას გარდა პირველი ადგილი უნდა დავუთმოთ სოფლათ კულტურულ-განმანათლებელ მუშაობის წარმოებას. ქოხ-სამკითხველოების მოწყობას, კლუბების გახსნას, სოფლისთვის გაზეთების მიწოდებას სპეციალური სკოლების გახსნას, შეკითხვებს და სხვ. უსათუოდ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს.

უნდა ითქვას, რომ ზოგიერთი შეფები, როდესაც მიდიან სოფლათ, ხანდახან გადამეტებულ დაპირებებს აძლევენ გლეხებს; ეს დაპირებები ბოლოს და ბოლოს მარტო დაპირებებათ რჩებიან, ვერ ხორციელდებიან. ეს კი ცუდ შთაბეჭდილებას ტოვებს გლეხებზე, ნდობა ეკარგებათ, და შემდეგ მარტო სიტყვა კი არა, საქმესაც ალარ დაუჯერებენ გლეხები. ასეთ გადაჭარბებულ დაპირებებს ადგილი არ უნდა ექნეს.

ხანდიხან ადგილი აქვს შეფების მიერ სოფლად სხვადასხვა საჩუქრების წაღებას. ამასაც უნდა ვერიდოთ. ყოველი დახმარება საზოგადოებრივი ხასიათის უნდა იყვეს.

ზოგიერთი შეფი სოფლად დამოუკიდებლად აწარმოებს მუშაობას, არა აქვს კავშირი ადგილობრივ პარტიულ და საბჭოთა ორგანოებთან. ესეც დაუშვებელია. შეფების მუშაობა მხოლოდ მაშინ იქნება ნაყოფიერი, როდესაც მჭიდროთ იქნება დაკავშირებული ადგილობრივ ორგანიზაციებთან.

ცნობილია, რომ სოფელს არ ჰყავს საათანადოთ მომზადებული მუშაკები. შეფებმა შეძლებისდაგვარად ამასაც უნდა მიაქციონ ყურადღება. უნდა მიაწოდონ სოფელს ცოტა თუ ბევრათ მომზადებული მუშაკები. ზოგიერთი პარტიული უჯრედები არ აქცევენ ყურადღებას შეფების მუშაობას, არ ეცნობიან ამ მუშაობის შინაარსს, არ უწევენ საათანადო ხელმძღვანელობას, თითქოს საშეფო მუშაობა არც კი ეხებოდეს უჯრედს.

უჯრედებმა მეტი ყურადღება უნდა მიაქციონ საშეფო მუშაობას და საათანადო ხელმძღვანელობით ამ მუშაობის სუსტი მხარეები გამოაკეთონ.

საშეფო საზოგადოებათა თბილისის კონფერენცია, იმედი უნდა ვიქონიოთ, მომავალი მუშაობისთვის გამოიმუშავებს საათანადო გეგმას, რაც ხელს შეუწყობს ამ მუშაობის გაჯანსაღებას და მკვიდრ ნიადაგზე დაყენებას.

ო.

კომკავშირის მეორე რაიონის ორგანიზაციაში

(მე-2 რაიკომის მდივნის მოხსენებიდან)

რაიონის შემადგენლობას გამოხატავენ შემდეგი ციფრები: კომკავშირელთა საერთო რიცხვი რაიონში ულრის 1915, აქედან წევრი 1.716 და კანდიდატი 199.

სქესის მიხედვით: მამაკაცი—1.523 (79,5 პროც.), ქალი—392, (20,5 პროც.)

ეროვნების მიხედვით: ქართველი—542, (28 პროც.), სომეხი—484 (25,3 პროც), რუსი—507 (26,5 პროც) და დანარჩენები — 382 (19,8 პროც).

წევრთა სოციალური მდგომარეობა: მუშა—1.129 (166 პროც.), გლეხი—382 (22, 5 პროც.), დანარჩენი—205 (11,5 პროც.).

რაიონში ითვლება 59 უჯრედი: ფაბრიკა-ქარხნის—16, დანარჩენი საწარმოოო—14, ტრანსპორტის—1, საგლეხო—1, საბჭოთა დაწესებულებების—5, შრომის სკოლების—15, სამხედრო ნაწილების—7.

5 უჯრედი ჩამოყალიბებულ იქნა ამ ბოლო ხანებში.

კავშირის წევრთა მონაწილეობა საზოგადოებრივ ორგანიზაციებში გამოიხატება შემდეგ ციფრებში:

საბჭოს წევრი 8, პროფკავშირების ხელმძღვანელი 6, ავიაქიმის მუშაკი 139, რემდასში—239, წერკუმსში 111, ბავშვის მეგობართა საზოგადოებაში 26, კოოპერაციაში 176.

საერთოდ მთელი ორგანიზაციის 37 პროც. ჩაბმულია საზოგადოებრივ მუშაობაში.

საგიტაციო მუშაობა რაიონში უმთავრესად გამოიხატებოდა ორგანიზაციის წევრთა დიდი უმრავლესობის ჩაბმაში პოლიტსკოლების მუშაობაში.

რაიონში ითვლება 59 უჯრედი: ფაბრიკა-ქარხნის—16, დანარჩენი საწარმოოო—14, ტრანსპორტის—1, საგლეხო—1, საბჭოთა დაწესებულებების—5, შრომის სკოლების—15, სამხედრო ნაწილების—7.

სახელმწიფო უნივერსიტეტის კომუჯრედში

30 იანვარს შესდგა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პარტიული უჯრედის საერთო კრება. დღის წესრიგში იდგა მე-14 პარტყრილობის რეზოლიუციის გარჩევა ეკას მოხსენების გამო. მოხსენება გააკეთა ამხ. ვ. მუშიშვილმა, ის შეჩერდა უმთავრესათ რეზოლუციის მთავარ საკითხებზე. მოხსენება შინაარსიანი გამოდგა. მოხსენების შემდეგ შემოვიდა შეკითხვები, რომელზეც ამხ. მუშიშვილმა სათან ადო პასუხი გასცა.

კ. პატარაია.

ადგილობრივ ორგანიზაციებში

მოძრავი პოლიტსკოლაც დავაარსეთ.

(ბანძის რაიონი, სენაკის მაზრა.)

ბანძის თემში პარტიულ უჯრედებში აღმზრდელობითი მუშაობა ცოტა მოიკოჭლებდენ ოდგანაც პოლიტსკოლების მეცადინეობას ხელს უშლიდა ზოგიერთი პარობები, რომელთაც საგრძნობლად შეაფერხეს აღნიშნულ თემში აღმზრდელობითი მუშაობა.

ეს მდგომარ ობა ბანძის თემში დიდხანს არ გაგრძელებულა. როგორც თემის პარტიულმა კომიტეტმა, ისე, რასაკვირველია, მაზრკომსაც სათანადო ზომები მიიღეს ბანძის თემში მეცადინეობის საქმის მკვიდრ ნიადაგზე დასაყენებლათ.

ამა წლის 4 იანვრიდან ბანძაში მაზრკომმა დაარსა მოძრავი პოლიტსკოლა, რომელსაც ხელმძღვანელობს მაზ. კომიდან გამოგზავნილი ლექტორი; ამ მოძრავ სკოლას დახმარების უწევს პარტიის თემის კომიტეტი. სამუშაროდ ზოგიერთი წევრები მეცადინეობას არ ესწრებოდენ, რაც ხელს უშლიდა ნორმალურ მეცადინეობას. მაგრამ თემის კომიტეტმა ზომები მიიღო, რომ მეცადინეობას ეს დასწრებოდა პარტიული ამხანაგების უმრავლესობა. სკოლაში ენერგიულად მუშაობს კურსკომი, რომელმაც ხასტიკი ზომები მიიღო მათ წინააღმდეგ, რომლებიც სისტემატიურად აგვიანებენ სკოლაში სიარულს.

ერთი გარემოება შეიძლება არ აღენიშნო, სახელდობრ მოძრავ პარტსკოლას სამეცადინოთ არა აქვს კარგიბინა, მეცადინეობა სწარმოებს ერთ დახურულ ვიწრო ოთახში, სადაც სკოლის მსმენელები ძლივს ეტევიან; ამ მხრივ როგორც თემის კომიტეტმა, ისე კურსკომმა უნდა მიიღოს ზომები, რომ დროზე გამონახულ იქნეს შესაფერი ბინა, რომ იქ უპარტიო ვლუხებსაც და კომკავშირის წევრებსაც შეეძლოთ თავისუფალ დროს დასწრება.

ირაკლი დარცმელია.

ახალგაზრდათა კომუნისტური გვარდია

კომკავშირის ამბები

28 იანვარს შესდგა მე-2 რაიკომის პლენუმი, რომელზეც სხვათაშორის კომკავშირის მე-2 რაიკომის მდივანმაც გააკეთა მოხსენება თავის მუშაობაზე. მოხსენების გამო პლენუმმა შემდეგი წინადადებები გამომიმუშავა ცხოვრებაში გასატარებლათ:

1) გაძლიერებულ იქნას პარტიული კიდრი კომკავშირში.

2) მოწაფეთა უჯრედებზე მიმაგრებულ იქნან კომუჯრედები.

3) ორგანიზაციულ განყოფილებას დაევალოს გადაათვალიერაოს კომკავშირში მუშაობის კომისიის შემადგენლობა.

4) კომკავშირის რაიკომს დაევალოს მიიღოს ყოველგვარ ზომები, რომ პოლიტსკოლებში სისტემატიურათ დაიარებოდენ კომკავშირელები.

5) გაძლიერებულ იქნეს კულტურულ-განმანათლებელი მუშაობა; გიხსაკუთრებული ყურადღება მიექცეს მუშათა კლუბების ახალგ. სექციებს და სკოლებს, კომკავშირელების ჩაბმას საზოგადოებრივ ორგანიზაციებში, განსაკუთრებით კოოპერაციაში.

ბ. ბ.

პარტიული ქრონიკა

თბილისის კომიტეტის პრეზიდიუმში

ფიზიკელ ნასადილევის ლიკვიდაციის შესახებ

— პრეზიდიუმმა აუცილებლათ სჯნო წითელი სასადილოების დახურვა და მათი არტელებზე გადაცემა. ამისათვის შემნილია კომისია შრომის სახ. კომისარიატის, სახ. კვების კავშირის, მუშკოოპის და თბილისის აღმასკომის წარმომადგენლებისაგან.

დღეების გასაპირველებაზე

— დღეები თბილისის კომიტეტის პრეზიდიუმმა შემდეგნაირათ გაანაწილა: ოქტომბათი—საბჭოთა დღე, სამშობათი—კომკავშირის დღე, ოთხშაბათი—პროფკავშირის დღე, ხუთშაბათი—საგ.-საპროპაგანდო დღე, პარასკევი—პარტიული დღე.

ზემოჩამოთვლილ დღეებში უნდა მოიწვიონ სათანადო ორგანიზაციებმა თავისი სხდომები.

საბჭოთა საქართველო

დეკეშები

ქარხანა „ქარუტლს“ ამუშავებენ

ბაითური, 2 თებ. ქარხანა „ჯარუტლს“ შეკეთება უკვე დამთავრდა. 6 თვის უმეტესად დღეის შემდეგ ქარხანა ახლად ამუშავდა. მუშაობს 800 კაცი ორ წყებათ.

ტელეფონი.

ბაითური, 2 თებ. ბაითურის კომეურნეობამ დაამთავრა ქალაქის ტელეფონის ქსელის შეკეთება. ტელეფონის ყველა ძველი მავთულები შეცვლილია ახლით. განზრახულია ტელეფონის მავთულების შეცვლა მაბლობელ სოფლებშიც.

კოლექტიური მეურნეობა.

ბაითური, 2 თებ. 1924 წლის ბოლოს შორაპნის მაზრის სოფელ წარჩალაში 6 გლეხის ოჯახიდან შესდგა კოლექტიური მეურნეობა, რამაც ერთი წლის განმავლობაში საუცხოო შედეგი გამოიღო. ადგილობრივი გლეხობა ძალიან დაინტერესებულია ამ კოლექ. მეურნეობით და მოწადინებულია არიან შეუერთდენ მას. უკანასკნელ თვეებში ამ ახალ მეურნეობას კიდევ შეუერთდა 8 ახალი ოჯახი.

საკომლის ჯირი.

ახალციხე, 2 თებ, მთელს მაზრაში მძვინვარე საქონლის ჭირმა ბოლო დროს დაიკლო. მიწათმოქ. სახ. კომისარიატის მიერ გამოგზავნილია ბეითალი და ასაცრელი შრატი, რაც გადაგზავნილ იქნა ლეპის რაიონში, სადაც ჭირი ყველაზე მეტად მძვინვარედა.

მარგანეცის ბატანა.

ფოთი, 2 თებ. ამერიკაში გაემგზავრა ბერძნული გემი „ირაქის კომპანია“, რომელიც დატვირთულია 6.117 ტონა მარგანეცით.

ციმენტი.

ფოთი, 2 თებ. ნოეფოროსიის კიდან მოვიდა გემი „ჩატერთაგი“, რომელმაც ზაპესის საპირომბასათვის მოიტანა 38.000 ფ. და ფოთის ნავთსადგურისათვის კი 13.000 ფუთი ციმენტი.

ხიდინდის დაშაბადება.

ქუთაისი, 2 თებ. ახალსენაკის საკრედიტო ამხანაგობა შეუდგა ხიდინდის დამზადებას. განზრახულია, დაამზადონ 100.000 ფუთი. ფასები 1 მ.—1 მ. 40 კ.

ტრაქტორი.

ქუთაისი, 2 თებ. ახალსენაკის საკრედიტო ამხანაგობამ შეიძინა ერთი ტრაქტორი. უკანასკნელი გამოყენებული იქნება არა მარტო მიწის დასამუშავებლად, არამედ ცუდი ამინდის დროს შეასრულებს მამოძრავებელი მანქანის როლს სახერხაქარხანაში.

ეულდობა.

ქუთაისი, 2 თებ. ახალსენაკის საკრედიტო ამხანაგობის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ მას ძალის დროს მატარებელში მოპარეს 1.980 მანეთი ან 2.293 მანეთიდან, რომელიც მან მიიღო სამოფლოსამეურნეო ბანკში დაფნის ფოთოლის გასაღებლათ. საქმე გადაეცა პროკურორს.

შავი ჭირის ეპიზოოტია.

ახალქალაქი, 2 თებ. შავი ჭირის გაჩენის დღიდან (სექტემბერი) მიღებულია 612 ლიტრი შავი ჭირის საწინააღმდეგო შრატი.

აცრილი იყო 23.390 სული საქონელი, აქედან დაიხოცა 887 სული. აცრა სწარმოებდა 14 სოფელში 25-დან. ამ დღეებში მოელიან 4 ყუთი შრატის მიღებას.

ჩვენს სოფლელ კორესპონდენტებს

(საბჭოთა არჩევნების გამო.)

ზოგიერთ მაზრებში უკვე დაიწყო საბჭოთა არჩევნები არის ადგილები, სადაც კიდევ არ დასრულებულა წინასწარი საარჩევნო სამზადისი. რედაქცია სთხოვს ყველა თავის კორესპონდენტებს, რაც შეიძლება ფართოდ და დაწვრილებით გააშუქონ თავიანთ წერილებში საარჩევნო კამპანიის მსვლელობა.

წერილები

გაზეთი, მკითხველს.

(წერილი გარე-კახეთიდან)

მოთხოვნილება გაზეთში დღეს შესამჩნევათ გაიზარდა, როგორც ქალაქად ისე სოფლად. იშვიათად თუ მოიძებნება ისეთი წერა-კითხვის მცოდნე გლეხი, რომელიც დაინტერესებული არ იყვეს გაზეთით და გულდასმით არ კითხულობდეს მას, თუ კი სადმე იხელთა იგი.

ეს რომ უბრალო მტკიცება არაა, იქედანაც სჩანს, რომ, როგორც ვიცით, ქართულ ეურნალ-გაზეთების ტირაჟი დღეს საოცრათ გაიზარდა. ისინი ათეულ ათასობით ითელებიან, რაც წინანდელ ქართულ გაზეთებს სიზმრათაც არ მოელანდებოდათ. ყოველივე ეს მოწმობს, რომ მასის პოლიტიკური თვითშეგნება და აქტიურობაც გაიზარდა.

ადვილი გასაგებია ამიტომ ის დაუსრულებელი თხოვნა პოლიტიკურ განათლების სამმართველოსა და მის განყოფილებებისადმი, რომელიც იბეჭდება გაზეთებში სხვა და სხვა კუთხეებიდან ქოხ-სამკითხველოების დაარსების შესახებ.

მაგრამ სოფლის მოსახლეობის ასეთ წყურვილის დაკმაყოფილებას წინ ეღობება არა მარტო ქოხ-სამკითხველოებების ნაკლებობა და არამედ სხვა მიზეზებიც. პირველყოვლისა მე ვლაპარაკობ ფოსტის მუშაობის შესახებ. აშკარაა, რომ ფოსტის ყველა განყოფილებები ერთნაირათ არ მუშაობენ. თუ ერთ შემთხვევაში არის ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილებათა ოსტატი გამგეები, როგორც მაგალითად საგარეჯოში, რომელიც ხშირად დამტარებლობასაც არა თაკილობს და თავის ხელით ურიგებს ხელის მომწერლებს გაზეთებს, ზოგიერთი ადგილას არიან ისეთი ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილებებიც, სადაც ხელის მომწერელი გაზეთს უფრო ხშირად მეორე პირისაგან ღებულობს.

ხშირათ გაზეთების გავრცელებას აფერხებენ თვით დაინტერესებული დაწესებულებანიც, რომელიც მოწოდებულია იზრუნოს მკითხველთა რაც შეიძლება დროულ დაკმაყოფილებაზე. ასე, მაგალითად, ოზურგეთიდან ამას წინათ ერთი კორესპონდენტი სწერდა, რომ მასწავლებელთათვის დასარიგებელი გაზეთები მთელი თვეობით უპატრონოთ ყრია აქ და თვის ბოლოს ურმებით გააქვთ სოფლებშიო.

არის შემთხვევები, როცა ქოხ-სამკითხველოებშიაც ყველაფერი რიგზე არაა. გაზეთები ზოგჯერ მოაქვთ და აღარ აბრუნებენ. ამრიგათ, თუ ერთმა წაიკითხა, მეორე მოკლებულია გაზეთის ხილვის ბედნიერებასაც.

ყოველივე ეს აბრკოლებს გაზეთის თავის დანიშნულებისამებრ მიღწევას. ფართე მკითხველი მასა მოკლებულია საშვალებას თავისუფლად და თავის დროზე ისარგებლოს გაზეთით. უნდა ყველა ამოძრავდეს ფოსტა, ბეჭდვის სიტყვის ექსპედიციები, ქოხ-სამკითხველოები, რომ გაზეთი თავის დროზე და უშუალოდ აღწევდეს ხელს მოუწერლებლებამდე. უამისოთ ჩვენ ვერ მოუვლით ბოლოს ამ სამართლიან დაუსრულებელ საყვედურს, რომელსაც ადგილი აქვს დღეს მკითხველის მხრივ.

ქოხელი.

ტყეებს ვუპატრონოთ

(ივრის ხეობიდან)

ყველამ კარგათ ვიცით, ტყეს რა დიდი მნიშვნელობა აქვს; ამიტომაც მის მოვლა-გაშენებას ყველანაირ დიდი ყურადღება უნდა ჰქონდეს მიპყრობილი. მაგრამ ჩვენში ამ ყურადღების მაგიერ ტყე ზოგჯერ უდიერ სჩეს საგნათ შეიქნა. ტყე იჩეხება იქაც კი, სადაც უფრეელად უნდა იყვეს ის შენარჩუნული, სახელდობრ: ხეკენის ნაპირებზედ, ფერდებული ფერდობებზედ და ფლატეებზე. ამის გამო ხშირად ზრება სასმელი წყაროებიც კი.

გარე კახეთის სოფლებში, ივრის ხეობის გაყოლებაზედ, მშვენიერი წყაროებია ციგგომბორის მთებიდან გამომდინარე. ეს წყაროები სასმელადაც და სარწყაოდაც იხმარება. განსაკუთრებით უხვია ს. საგარეჯოს წყარო. წყლის ნაწილი რკინის გზის სადგურზედაც არის წყაგანილი. წყლისგლებსაც ამოძრავებდა და სოფლის ვენახ-ბოსტნებსაც რწყავდა. მაგრამ ამ უკანასკნელ წლებში თანდათან კლებულობს ეს წყალი.

წყაროს სათავე უწინ თვითონ სოფლისგან სასტიკად იყო დაცული. იქ რისიმე ბოჭილობის სასტიკათ ეკრძალებდენ და ახლაც ეკრძალებიან. ეს ადგილი ტყე ულიან დაბრალებულია. ბევრ ხელ-ნელ ქმიფის მარილია გაჩაბარეს და ყოველგვარი ხარშვა-შეწვისთვის დაურიდებლად სჩეხენ ტყეს, ხოლო სოფლის ხალხი სათავის გარშემო ტყეს დაურიდებლად ჰანაგებენ. ამ ეამად იკამდენარის პისული საქმე, რომ ბატატეულებული ადგილი გახმა, წყარომ იაკლო და რამდენიმე ონკანი ხშირად ალარ იძლევა წყალს, ხოლო რაიცა შეეხება სოფლის წყისქვილებს წლეს განმავლობაში მეტი წილი დრო სრულებით ალარ მოქმედებენ.

ერთი სიტყვით ივრის ხეობის ტყეებს საქმე ძალიან ეუდ მდგომარეობაშია. საშენი მასალა სულ ალარ მოიპოვება, ფოდრაჩიკემა სულ საეკეთესო მასალის ხეები სჭრეს შეშებად.

დროა ამ ტყეებისათვის მოიცალონ იმათ, ვისაც ეს ეხება და საზღვარი დაუდვინ მას უოიგებოლო გაჩანაგებას.

ვინცა ვარ.

მეცხვარეთა თხოვნა

ამას წინათ ტფილისში ჩამოვიდა 40 კაცისაგან შემდგარი, მეცხვარეთა ამხანაგობის „მწყემსის“ დელეგაცია.

მეიღლთ რა ის ცნობა, რომ ახალ-ქალაქის მაზრაში ჩამორთმეულ იქნა საზოფსული საძოვრები ზომით 18.000 დესეტინა, სასწრაფოდ მოეხდინათ ყრილობა ყველა რაიონებში, ამოერჩიათ დელეგატები და გამოეგზავნათ თბილისში.

დელეგატებმა ინახულეს ამხ. გეგეჭკორი, ფ. მახრაძე, ს. ჯაფელი, ცხაკაია; დაწვრილებით აუწყნეს თუ რა სიგიწვრივეს განიცდიან ხაძოვრის ნაკლებობის გამო და რა უბედურება დაატყდეს თავს ჩვენს მემცხვარეობის დარგს, თუ გამართლდა და ჩამოერთვა მწყემსებს ხსენებული 18.000 დესეტინა. დღეს 15-20 ცხვარი მოდის დესეტინა ხაძოვარზე და თუ ჩამორთმეცა მოსდა, მაშინ ხომ დესეტინაზე 30 და მეტიც მოვა. საერთოდ კი ნაგარაუდევია, რომ თუ კარგი ბალახია

რა ბედი ეწვია ხალხის ფულს?

საქართველოს გასაბჭოების დღიდანვე ერთ-ერთ ამოცანათაგანი იყო კულტურული მუშაობა. ჩვენ სოფლებშიც ამ მუშაობას სათანადო ყურადღება ქონდა მიქცეული. აქ დაარსდა სხვადასხვა წრეები: პოლიტიკურ-განმანათლებელი და ბედაგოგიური წრე, რომელსაც უნდა წაეკითხა ლექციები მათემატიკურ, ლიტერატურულ, საბუნებისმეტყველო და საზოგადოებათა—მეცნიერულ თუ მეგზურ.

1924—25 წ. წ. გაცხოველებული მუშაობა სწარმოებდა, მაგრამ უნდა თქვას, რომ მიზნის სავსებით განხორციელებას ხელს უშლიდა ფულის ნაკლებობა; ამის მოგვარებაც სეადეს. არჩეულ იქნა მომწყობრიგებელი კომისია. შეეფინებულ იქნა შენობა ბის გეგმა. გლეხობაც დიდი ხალისით უწყობდა ხელს. წარსულ ზაფხულში აკრეფილ იქნა ამ კომისიის მიერ ფული, თხილი და სიმინდი. მუშა—გლეხობა აღმოთქვეული და გულ გატეხილი შეჰურეგს კომისიას ამგვარ მოქმედებას: „საკლუბო შენობის ასაგებად ფული გადვიხადეთ და ამით ბაიმარეს და შესაბამეს“. ეს სამართლებრივ შორს არ უნდა იყოს;—კომისიას მოუთმენელს და შემდეგ თუ ვერ მოახერხა დანიშნულ საქმის განხორციელებას, „ბა მაინც ეჩვენებია, თუ სად არის ეს აკრეფილი თანხა!

თემადმასკომმა უნდა დაიბერტყოს ყური, მოსთხოვოს პასუხი კომისიის წევრებს და საქმე სინათლეზე გამოიტანოს.

ხაშურმა და თბილისმა გვიშველა

(წერილი გორიდან)

დილის 5½ საათი იყო, როდესაც სოოლა შემოესმა. წამოვიყენე რევოლვერს ხელი და გარეთ გამოვარდი, მეგონა, რომ ტუსაღები გაიქცნენ, რადგანაც დილის მატარებლის დრო იყო, მაგრამ ჩემს წინ სულ სხვა სურათი გადაეშალა... სადგურის უკან ცეცხლი გაჩენილიყო და გაგიეფებულ ალს წიოლთ შეეღება მთელი სადგურის არე-მარე. ყველას სძინავდა. სამპოლიციო სიჩუმე იყო, მხოლოდ დრო გამოშვებით ამ სიჩუმეს არღვევდა ლუქნების დარაბების ცეცხლისაგან ტკაცა-ტკაცები. სადგურზედ თვალი მოვკარ ერთ მოკალაქეს, რომელსაც საცელებზედ ქურქი წამოესხა და ტიტველა ფეხები კალოშებში გაეყარა. უცნობი რევოლვერს ისროდა, ზმა მაღლა ეკაკნოდა... მოუახლოვდა, გორის სადგურის უფროსი ამხ. დავიდოვი აღმოჩნდა.

რამდენიმე წუთის შემდეგ მოვიდა მისი თანაშემწე, მცხოვრებლებმაც მალე გამოიღვიძა. ხალხმა თან და თან იწყო მოგროვება ვედრებით, ჩაფებით და კიბეებით. ამ დროს ვინ იცის სად იყო პოსტის მცველი მილიციელი, მას ალბათ სადმე ტკბილათ ეძინა

ჯანმრთელობის საქმე მოიკოჭლებს

(ს. ლეხაური, გურია)

ჩვენი თემის აფთიაქს ი'შვიათად ნახავ ღიას. თუმცა რა აზრი აქვს მის გაღებას, როცა შიგ ცარიელი თაროებს მეტი არაფერია.

ვარდა ამისა აფთიაქს მოსამსახურე ნემსაძე ნუნუას გულითადი მეგობარია და მის ამ მეგობრობას ხელს უშლის სამსახური.

იყო შემთხვევა, რომ მძიმე ავადმყოფის პატრონს წამალი არ მისცა მისთვის, რომ ის ქეიფობდა და დრო არ ქონდა, რის გამო აღნიშნულმა მოქალაქემ საჩივრით სამაზრო აღმასკომს მიმართა. აგრეთვე სარწმუნო წყაროებიდან ვიცით, რომ ის წამალში ღირებულებაზე მეტს იხდევნებს

ვარდა ამისა, აქ არის ექიმის თანაშემწე და ბებია ქალი. მიუხედავად ამისა, დიდი გასაჭირი აქვთ სოფლის ექიმბაშებსაც.

ჩაქური.

ფიზკულტურა სოფლად

(საგარეჯო, გარე-კახეთი)

ამ ოთხი თვის წინედ, ჩვენ სოფელში ტფილისის ფიზკულტურის საბჭოს მიერ, დაარსდა ფიზკულტურის წრე. ამორჩეულ იქნა ადგილობრივ ფიზკულტურის საბჭო, რომელშიაც შედიოდნენ: ადგ. თემადმასკომის თავმჯდომარე, თემ-საბჭოს თავმჯდომარე, და სხვ.

ეს ამორჩევა ჯერ-ჯერობით ქაღალდზეა დარჩენილი. დღემდე ვერ აღმოუჩენიათ საკარჯიშო დარბაზი. ტფილისის ფიზკულტურის საბჭომ ადგ. სკოლას გამოუგზავნა მასწავლებელი, რომელიც აწარმობს მუშაობას ოთხ ადგილზე: ორ ადგ. ბავშვთა სახლში, ერთ ადგ. ბავშვთა ბაღში, ერთ ადგ. ბაზარში. ეს ბოლო ადგილი ყველაზე ადვილია. ბაზარში ბევრ ადგილზე ბაზრობა ტარდება. ეს ადგილი ბაზარ-ბაზარ ერთ ადგილ-ადგილ

რადიო-კავშირი ამერიკასთან

თბილისში, კომინტერნის სახელობის რადიო სადგურებიდან (მოსკოვი-შია) მიღებულია ცნობა, რომ ამერიკის 8 ძლიერი რადიო-სადგურის კონცერნს განზრახული აქვს მოწყოს ფართო რადიო-გადაცემა საერთაშორისო მასშტაბით. პირველ რიგში საბჭოთა კავშირთან იქნება დაჭერილი კავშირი, რომელიც გაგრძელდება მახლობელი კვირის განმავლობაში, რადიო-გადაცემა საბჭოთა კავშირში იწარმოებს ყოველ დღე ღამის 12 საათიდან (დილის 7 საათ. 55 წუთზე თბილისის დროით) და გაგრძელდება ერთი საათი.

როგორც ჩვენს თანამშრომელს აცნობეს თბილისის რადიო მოყვარულების დიდი ნაწილი მოოთმენლად ელოდა რადიო-ნიშნებს ამერიკიდან. აღნიშნულ დროს ორ ლამპიანზა რადიო-აპარატმა მიიღებმა მიიღეს რადიო-ნიშნების სიგნალები ძალიან შორეულ სადგურიდან. 3-4 ლამპიანმა მიმღებმა მიიღეს, თუმცა არა საკმაოდ მკაფიოდ, რადიო-კონცერტები.

რადიო-გადაცემის ეს ცდები საძირკველს უყრის ამერიკის და საბჭოთა კავშირის რადიო მეგობრობას. რადიო-მოყვარულები დიდ ინტერესს იჩენენ ამ უფროო რადიო-გადაცემისადმი.

ამიერ-კავკასიის „ავიაქიმში"

ᲫᲘᲛᲘᲠᲘ ᲚᲐᲑᲝᲠᲐᲢᲝᲠᲘᲘᲡ ᲒᲐᲜᲐ 1 თებერვალს ავიაქიმას მე 3-ე რაიონულმა საბჭომ თბილისში გახსნა ამხ. ელიავას სახელობის ახალი ქიმიური ლაბორატორია.

ᲮᲔᲚᲘᲡ ᲨᲔᲛᲬᲚᲔᲑᲐ ᲒᲐᲓᲐᲕᲠᲜᲘᲚᲘᲐᲗᲘᲡ

ამიერ-კავკასიის ავიაქიმი აღგენს გეგმას, რომლის მიხედვით ჩატარდება კამპანია ავიაქიმის მიერ განზრახულ გადაფრენათა დასახმარებლად. გადაფრენათა მოწყობა განზრახულია ᲐᲕ|Წ. ზაფხულისათვის ევროპის და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში. დახმარება ამ გადაფრენებისათვის გამოიხატება შემდეგში: უნდა მოეწყოს საავიაციო მოედნები გადაფრენებისათვის მოსკოვი—ანგორა, მოსკოვი—თეირანი, აგრეთვე შეკეთებული უნდა იქნეს სამოყალებიც.

„ᲐᲕᲘᲐᲥᲐᲗᲘᲡᲐ" ᲨᲔᲛᲬᲚᲔᲑᲐ ᲡᲙᲝᲚᲔᲑᲘ

საბოლოოდ გადაწყდა თბილისის ყველა 2 საფეხურის სკოლებში შეიმალეთის კონსულის მოადგილის კოკლეთის კონსულის მოადგილის ჩამოსვლა

თბილისში ჩამოვიდა ბ-ნი გუსეინ-ბეი, რომელიც დანიშნულია ოსმალეთის გენერალურ კონსულის მოადგილეთ თბილისში. გუსეინ-ბეს სადგურში შეხვდენ გარეშე საქმეთა სახალხო კომისარიატის რწმუნებულის სამმართველოს და აგრეთვე ოსმალეთის გენერალურ საკონსულოების მდივანის თანამდებობა ჰანბურგში და შტატნეში.

ᲥᲠᲝᲜᲘᲙᲐ

ᲐᲕᲭᲐᲢᲠᲘᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲗᲐ ᲓᲔᲚᲔᲒᲐᲪᲘᲐ ᲩᲐᲛᲝᲕᲐ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ

თბილისში მიღებული ცნობების თანახმად, საბჭოთა კავშირში ჩამოსული ავსტრიის მუშათა დელეგაცია რომელშიაც შედის 10 ს.-დემოკრატი და 6 კომუნისტი, ამიერ კავკასიაში ჩამოვა ამა თვის შუა რიცხვებში.

ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲝᲠ ᲤᲣᲥᲘᲜᲘᲡᲙᲘᲡ ᲩᲐᲛᲝᲡᲕᲚᲐ

**სახელმწიფო პოლიტეხნიკური ინსტიტუტის რექტორს ს. ფაიცე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ავიღოდა არეულ-ბოლელი

არაჩვეულებრივი ინტერესის გამო
გრძელდება სურათის
„ვინ არის დანაშავე?“-ს
ჩვენება მესამე კვირის განმავლობაში
იჩქარეთ ნახოთ!
სურათის ჩვენების უკანასკნელი დღეებია
სალაროს ღია სალამოს 4 საათ. 30 წ.
პირველი სეანსის დასაწყისი — 5 საათზე და 45 წუთზე.
0—13 ნ. 699

გათოშის საგაქო

ამით აცხადებს, რომ ა-წ. 6 თებერვალს დანიშნულია

საჯარო ვაჭრობა

დასტვირთვა-გადმოსტვირთვის სამუშაოების იჯარით გასაცემად

1. ვაჭრობა იქნება დახურული, პირობების წარდგენით დ ხურულ კონვერტებში.

2. კონკურენცია უნდა სწარმოებდეს მხოლოდ და მხოლოდ ნიხრის მიხედვით და პროცენტული ანარიცხების გზით მთლიანად მთელი ნიხრიდან და არა ცალკე გამოყოფილ ნაწილებიდან.

3. ხელშეკრულების ტექსტი შეეგობრების საგანს არ წარმოადგენს და საყალდებულოა ვაჭრობაში ყველა მონაწილეთათვის.

4. იმ პირმა, რომელსაც დარჩება ღონიშნული სამუშაო, უნდა შეეტანოს საწინდარი შემდეგი რაოდენობით:

5. საწინდრის შეტანა საყალდებულოა არა მარტო კერძო და კოოპერატიულ წარმოებებისათვის, არამედ სახელწიფო ორგანოებისათვისაც.

6. ვაჭრობაში დაშვებული იქნებიან როგორც სახელმწიფო და კოოპერატიული ორგანიზაციები, ისე შრომის სახ. კომისარიატის განსაკუთრებულ დადგენილებათა მიხედვით დაარსებული კოლექტივები, არტელები და აგრეთვე კერძო ორგანიზაციები.

7. იმ დაწესებულებებს და ორგანიზაციებს რომლებს, რომელებსაც აღებული აქვთ საარტელო სამუშაოები, ესპობათ უფლება მიიღონ საეჭვდეტორო-ადგილებში საბაჟოსთან.

8. იმ პირებმა, რომლებსაც სურთ მონაწილეობა მიიღონ ვაჭრობაში, უნდა შეეტანონ ამ საბაჟოს დეპოზიტში საწინდარი მე 4 მუხლში აღნიშნულ პირველ საწინდრის 10 პროცენტის რაოდენობით.

შენიშვნა: იმ პირთა საწინდარი, რომლებმაც აიღეს იჯარით საარტელო სამუშაოები, გადაერიცხება მე-4 მუხლში აღნიშნულ საერთო საწინდარში. ხოლო დანარჩენებს საწინდარი დაუყოვნებლივ უბრუნდებათ.

9. იმ პირებს, რომლებსაც სურთ მონაწილეობის მიღება ვაჭრობაში, შეუძლიათ გაეცნონ ხელშეკრულებას, ნიხრს და ვაჭრობის ყოველგვარ პირობებს საბაჟოში საქმეთა მმართველთან.

10. ვაჭრობის შედეგები უნდა იქნას დამტკიცებული საბჭ. კავშირის მთავარ საბაჟო სამმართველოს მიერ, რის შემდეგაც დამტკიცებული კონტრაგენტი იწყებს სამუშაოების შესრულებას.

11. დახურულ კონვერტების მიღება ბათომის საბაჟოში შეიძლება ამ განცხადების **გამოქვეყნების დღიდან ა. | წ. 6 თებერვლის** დღის 12 საათამდე.

ბათომის საბაჟოს მმართველი ყორდანია.

3—2 ნ. 700. საქმეთა მმართველი კერესელიძე.

საჯარო ვაჭრობა

სხვადასხვა საქონლის და ინვენტარის (120 სახელწოდება) გასასყიდად დანიშნულია ა | წ. 7 თებერვალს, ღილის 10 საათზე მუშაოპის ეზოში, ერესის ქ. № 7. ცნობების მიღება შეიძლება დილის 10—12 საათამდე ამავ. ჭავჭანიძესთან.

ნის. 708—1—1 გამგეობა.

დოქტორი ბ. მეგრაბიანი

ფილტვების, გულის და ციების

წამლობა **ხელოვნური მოის მზით**

სპეციმოტორაკსით და ტუბერკულინ ნ ზით, **რენტგენის**, და სინათლის-ელექტრონის სამკურნალო კაბინეთში—იღებს 9—1 საათ. დილ, 5—8 საღ. ბელუთოვის ქუჩა, № 23.

— **დაკარგვა.** 11 ივნისს თავისი პინდან წავიდა 17 წლის ბავშვი ილუშა მელენა, ეცვია ნაცრის ფერი პალტო, მიზაკის ფერი ქუდი; თუ ვინმემ იცის სად არის სთხოვენ აცნობის ნერსესოვის ქ. № 1 რეფიდან მელუსს.

დაკარგვა პირადობის მოწმობა № 2970 გიორგი ივანიშვილის სახელზე. ჩ. გ. 1—1 1390

დაკარგვა ბ. ... № 2201 1386

დაკარგვა 1385

დაკარგვა 1385

დაკარგვა ... ... № 13258, ... № 302844, ... № 2393, ... 1383

დაკარგვა ... № 1236 139

დაკარგვა 1389

დაკარგვა ... № 3929 ... № 415, ... 710

დაკარგვა ... № 377, ... № 8 ... № 17, ... 710

დაკარგვა ... № 3995, ... № 2330 710

3—1 ნ. 20.

... ...